პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 294 (13986)

ოთხშაბათი, 20 დეკემბერი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

ხუთწლედი — ვადამდე!

შესრულებულია წლიური გეგმა

რუსთავი, 19 დეკემბერი. (საქდესი). დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა ხუთწლედის მეორე წლის მთლიანი პროდუქციის გამომვების სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულება.

თვის დამლევამდე ჩვენი ქვეყანა გეგმის გადამეტებით მიიღებს ათასობით ტონა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მილებს, ფოლადის ფურცელსა და სხვა პროდუქციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ ლენინური ჯილდოს ფლაგმანი — ბაკურიანის ბალახის ფენა.

ფოტო ბ. კეკელიძისა.

საგარეჯოელთა თაოსნობის პასუხად

შეჯიბრება გაჩაღდა

საგარეჯოელთა პატრიოტულ ინიციატივას აბაშის რაიონის მექანიზატორები ფართოდ გამოეხმაურნენ და იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

აბაშელი მექანიზატორები, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში „საქსოფლტექნიკის“ აბაშის რაიგანყოფილების მმართველმა მ. ბოკერიამ, — ხუთწლედის მეორე წელს სასახელოდ ამთავრებენ. „საქსოფლტექნიკის“ განყოფილების მექანიზატორთა პირობა იყო 1968 წლის პირველ იანვრამდე შეეკეთებინათ 11 ტრაქტორი ფაქტიურად პირობა ერთი თვით ადრე გაანაღდეს. შეაკეთეს 23 ტრაქტორი და ამით ტრაქტორის რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა 209 პროცენტით გაანაღდეს.

საგარეჯოელთა მაგალითისამებრ აბაშელი მექანიზატორები კისრულობენ დამთავრონ ტრაქტორების რემონტი ხუთწლედის მესამე წლის 18 თებერვლამდე, გუთნების, სათესი მანქანების, კულტივატორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი — 5 მარტამდე.

მანქანათა სრული კომპლექსის გამოყენებით, მექანიზაციის დონის ამაღლებით, სამუშაოთა აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულებით მარცვლეულის მოსავლიანობა ჰექტარზე გაადიდონ 12 პროცენტით. მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლების მიზნით ხელი შეუწყონ წველადობის გადიდებას, ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა და ტექნიკის შეკეთების შეუფერხებლად წარმოებისათვის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი განაცხადების მიხედვით „სოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება უზრუნველყოფს სათადარიგო ნაწილეთით, ახალი ტექნიკით, სასუქებით, შხამქიმიკატებით და ტექნიკური მომსახურებით.

ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენების შედეგად 4 პროცენტით დაზოგავენ საწვავ-საცხებს მასალებს, ჰექტარი სამუშაოს (რბილ ხვნაზე გადაყვანით) თვითღირებულებას შეამცირებენ 5 კაპიკით.

ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სუჯუნის, ზანათის საბჭოთა მეურნეობებმა, ნორიოს, ნოღოხაშის, ტყვარის, მარნის კოლმეურნეობა „შრომის“, წყაბის, გეზათის, სეფიეთის ნაფსაკოვის და სხვა სოფლების კოლმეურნეობების მექანიზატორებმა.

აბაშელი მექანიზატორები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს.

ახალ ხუთწლედში უფრო გაფართოვდება რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა სატრაქტორო პარკი. 15 ცხენისძალიანი ტრაქტორის დატვირთვა აყვანილ იქნება 450 ჰექტარამდე, თვითღირებულება შემცირდება 12 კაპიკით, სარემონტო სახელოსნოში შეკეთდება რაიონში არსებული ტრაქტორების 70-მდე პროცენტი. გაუმჯობესდება შესრულებული სამუშაოს ხარისხი, დიდი ყურადღება მიექცევა მექანიზატორთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების, ახალგაზრდა კადრების მოშზადების საქმეს. ყოველივე ამის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

აბაშელი მექანიზატორები უკვე შეუდგნენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

მიფრინავს „კოსმოსი-196“

საქდესის ცნობა

1967 წლის 19 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-196“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 95,5 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 887 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 225 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 49 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

საბჭოგლის ხუროთმოძღვარნი

პრემლის თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჩვენი ქვეყნის არქიტექტურულ საზოგადოებათა დაარსების ახი წლისთავს. სხდომის მონაწილეთა შორის იყვნენ ყველა მოძმე რესპუბლიკის არქიტექტორთა კავშირების წარმომადგენლები, აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები.

დარბაზში ტაშმა იქუსა, როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ტ. ეფრემოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება საბჭოთა არქიტექტორებისადმი.

მოხსენება არქიტექტურულ საზოგადოებათა საუკუნოვანი ეზის შესახებ წაიკითხა სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა გ. მ. ორლოვმა.

სოფელი აშენებს

კარგი ცვლილებები ხდება საბჭოთა სოფელში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მიერ შემუშავებული ეკონომიური ღონისძიებანი, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე. ახლა, როცა მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი მათი ეკონომიკის განმტკიცებაში, სულ უფრო ფართოვდება სოფლის, მისი იერისა და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საფუძველი. ხაქმე ეხება მასობრივ ხაბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, ელექტროფიკაციის დამთავრებას, კარგი გზების შექმნას.

პარტია და მთავრობა საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობახ ანიჭებენ ამ საკითხებს. სკკპ XXIII ყრილობამ დასახა ამოცანა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შევიმუშაოთ სოფლისა და ქალაქის ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებში სხვაობის აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი, დავიწყოთ მათი ფართოდ განხორციელება. ახლა კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის თოკქის მესამედი ხმარდება მშენებლობას სოფლად. იქმნება მძლავრი საწარმოო ბაზა, სრულყოფილი ხდება სასოფლო მშენებლობის ორგანიზაცია, მტკიცდება საიჯარო სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებელო ორგანიზაციები.

ეს ღონისძიებები უკვე ნაყოფს იძლევა. ყოველწლიურად მწყობრში დგება მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ათასობით სკოლა, სბავშვო ბაღი და ბაგა, კლუბი, სამკურნალო დაწესებულებანი, საწარმოო ობიექტები. მოკლე ვადაში გამშვენიერდა და კეთილმოწყობილი გახდა შრავალი სოფელი.

ამ საქმეს კარგი დასაბამი მიეცა ბელორუსიაში. აქ შეიმუშავეს პრინციპიულად ახალი მიდგომა სასოფლო მშენებლობისადმი და ახლა აწარმოებენ დასახლებული პუნქტების გეგმაზომიერ კომპლექსურ განაშენიანებას. მიზნად აქვთ დააბული გაუჯრობესონ სოფლების დაგეგმვა და არქიტექტურა, ადამიანებს შეუქმნან მაქსიმალურად კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. მშენებლებს დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრიობა. ახლა თითქმის ყველა რაიონი უზრუნველყოფილია დაგეგმვის სქემებით, ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გენერალური გეგმების შესაბამისად გარდაქმნის სოფლებს. თვით მოსახლეობის მონაწილეობით შერჩეულია საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებისა და საწარმოო სათავსების. ყველაზე ეკონომიური ტიპური პროექტები. რესპუბლიკის ოლქებში დაიწყო ექსპერიმენტულ-საჩვენებელი სასოფლო დაბების კომპლექსური მშენებლობა.

ბელორუსიის გამოცდილება საგულისხმოა იმითაც, რომ ტექნიკური პოლიტიკის ყველა რგოლი — რაიონული დაგეგმვით განაშენიანების გენერალური გეგმებით, თანამედროვე პროექტების შექმნით, ექსპერიმენტის ფართოდ დაყენებით დაწყებული და მასობრივი მშენებლობით დამთავრებული — აქ შეკავშირებულია ერთიან სისტემად. ამას განსაზღვრავს მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა სოფლის გარდაქმნისადმი. რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანიზაციები განუწყვეტლივ უწევენ კონტროლს სამუშაოთა მიმდინარეობას. შექმნილია რაიონულ არქიტექტორთა სამსახური, კაპიტალური მშენებლობის სამეურნეო ანგარიშის განყოფილებანი, რომლებიც ერთიანი შემკვეთის ფუნქციებს უნდა ასრულებდნენ. განმტკიცდა სახელმწიფო ტრესტებისა და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფართოვდა კადრებია მომზადება.

ხაქმის ასეთმა აწონ-დაწონილმა ორგანიზაციამ უკვე მოიტანა შედეგები, ავიღოთ, მაგალითად, მინსკის ოლქის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის დება. უკანასკნელი წლების მანძილზე იგი ნამდვილ კულტურულ ცენტრად გადაიქცა: აშენდა კაპიტალური საცხოვრებელი სახლები, კლუბი, მაღაზიები, სბავშვო ბაღი. შენობებში აოის წყალსადენი და კანალიზაცია. თანამედროვე დონეზე აწარმოებენ ეზოების განაშენიანებას ბრესტის ოლქის კოლმეურნეობა „საბჭოთა ბელორუსია“, მოგილიოვის ოლქის კოლმეურნეობები „განთიადი“ და „სამშობლო“, გომელის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კოძურარი“ და ბევრი სხვა მეურნეობაც. აქტიურად მუშაობენ სოფლის გარდაქმნის პრობლემებზე მოსკოვის, ლენინგრადი, კიროვის ოლქების, კრასნოდარის მხარის, უკრაინის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, უზბეკეთის, საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოები. ეს მთელი სიცხადით დაადასტურა სოფლების საუკეთესო განაშენიანებისა და კეთილმოწყობისათვის გამართულმა დათვალიერება-კონკურსმა, რომელშიც ათასობით კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მონაწილეობდა. ეს ორმოცდაათმა დაბამ მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომები. ახლა დაიწყო აქტიური მზადება დათვალიერება-კონკურსის მეორე ეტაპისათვის, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ეწყობა. მოწინავეთა საუურადღებო გამოცდილებაზე დაყრდნობით პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა წინ უნდა წაიწიონ სასოფლო მშენებლობის მთელი საქმე, აქტიური მონაწილეობა მიიღებინონ მოსახლეობის ფართო ფენებს სოფლების გარდაქმნისათვის მუშაობაში.

მაგრამ ამ მიზნით გამოყოფილ უზარმაზარ სახსრებს ყოველთვის როდი იყენებენ მთლიანად და ეფექტიანად. მთელ რიგ შემთხვევებში დასახლებული პუნქტების განაშენიანებას აწარმოებენ უსისტემოდ, ამასთან უხეშად არღვევენ ხოლმე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების განლაგების წესებს. იხარჯება ბევრი ფული, შენდება კარგი შენობები, მაგრამ სოფელს არა აქვს ლამაზი იერი იმიტომ, რომ ცუდად არის დაგეგმილი. ამოცანა ის არის, რომ ვაშენოთ უფრო სწრაფად და იაფად, ვაშენოთ თანამედროვე, ლამაზი, ეკონომიური და მოსახერხებელი შენობები, შეკვმნათ კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი ცენტრები, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ამოგება ყოველ დახარჯულ მანეთზე. ყველა ამ ხაკითხს დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობისა და სოფლის შეურნეობის სამინისტროებმა, არქიტექტორთა კავშირმა.

ბევრი სამშენებელო ორგანიზაციის და განსაკუთრებით მასალების წარმოების სიმძლავრენი ჯერ კიდევ არ შეესაბამება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მათს მშენებლობის შესაძლებლობებს. ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ყველგან შეეკმნათ სოფლის მშენებელთა მუდმივი კადრები, განვავითაროთ ადგილობრივი მასალების წარმოება, მათ შორის კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ფონდების გამოყენებით. საჭიროა ყოველნაირად შეეწყოთ ხელი საუკეთესო არქიტექტორთა ძალების ჩაბმას სოფლის გარდაქმნაში.

მშენებელთა მოვალეობაა უმოკლეს ვადაში დაამთავრონ სამუშაოები სოფლის ასამშენებელ ობიექტებზე. მათ უნდა დაეხმარონ შემკვეთებიც — ახლა, ზამთარში, ყოველ მეურნეობას უფრო ადვილად შეუძლია გამოყოს მუშახელი და ტექნიკა მშენებლობისათვის. სამწუხაროდ, ყველა საიჯარო ორგანიზაცია როდი ასრულებს დავალებებს. ჩამორჩებიან კოსტრომის, ბელგოროდის, ვოლგოგრადის ოლქების, აზერბაიჯანის მშენებლები.

წინ ახალი დიდი საქმეები გველის. ხუთწლედის მესამე წელს სამუშაოთა მოცულობა სასოფლო მშენებლობებზე კიდევ უფრო გაიზრდება. სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები სოფლის მეურნეობაში 6,4 მილიარდამდე მანეთს მიაღწევს. დაახლოებით 6 მილიარდ მანეთს გამოყოფენ კაპიტალური დაბანდებებისათვის კოლმეურნეობები. მშენებლობის პროგრამის წარმატებით დამთავრებას მომდინარე წელს, კარგად მომზადებას 1968 წლის ახალი ამოცანების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ექნება სოფლის ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

„პრავდა“. 19/XII. მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის რევოლუციურ მოძრაობაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში და დიდი წვლილისათვის მსოფლიოში პირველი სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის შექმნასა და განმტკიცებაში, მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოიჩინეს საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა დაცვის დროს, და კომუნისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოვდეს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1967 წლის 19 დეკემბერი.

ზრომითი ნოგათეგი

წელს კარგად იმუშავეს რესპუბლიკის მშრომელებმა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებისათვის. ამასთან ერთად ბევრმა რაიონმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა ტყავნედლეულის დამზადების გეგმები. სახელმწიფოსათვის მსხვილი ტყავის მიყიდვის წლიური გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 125,1 პროცენტით, ღორის ტყავისა — 109,3 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მსხვილი ტყავის მიყიდვის წლიური გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, ახმეტის, ყვარლის, თელავის, წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, გორის, ქარელის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპის, მცხეთის, წალკის, დუშეთის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ყაზბეგის, სამტრედიის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ცხაკაიას, ბაბაშის, ხობის, წალენჯიხის, ლანჩხუთის რაიონებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

გაბოსკოველი მანქანების ქარხანა

ორიოლის ჩრდილოეთ გარეუბანში შენდება საანგარიშო-გამოსათვლელი მანქანების ქარხანა, გვატყობინებს საქდესის კორესპონდენტი. ასეთ მანქანებს გამოიყენებენ წარმოების მართვის სფეროში.

მოწყობილობათა შექმნაზე ასობით კონსტრუქტორი იმუშავებს. ქარხანასთან გაიხსნება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი. აქვე იქნება გამოსათვლელი ცენტრი, ლაბორატორია, კონფერენც-დარბაზი, ხმის ჩაწერის სტუდია, კინოდარბაზი.

მომავალი წლის დამლევს მწყობრში ჩადგება საწარმოს პირველი რიგი.

ბოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი — ხუთწლედის ვადამდე — 1970 წლის 7 ნოემბერს შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორი — წარმატებით ამთავრებს საიუბილეო წელს.

სურათზე: გიგანტი ელექტრომოტორების ამწყობ საამქროში. ამწყობი ზეინკლები ი. ს. იარინი და ვ. დ. მასლოვი აწყობენ მე-20 გაბარიტის ელექტროძრავის როტორს. ასეთ მოტორებს, რომლებიც 50 ტონაზე მეტს იწონიან, თბოელექტროსადგურებში იყენებენ.

ფოტო ვ. კუნოვისა და ა. სტუფინისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ნაყოფიერი შრომის სიხარული

ცაზეიმოდ მოურთავთ ბორჯომის რაიონის საკურორტო დარბაზი. ყველგან ლოზუნგები და პლაკატებია.

ზამთარია. მიწა თეთრ საბანს დაუფარავს. მიუხედავად ამისა, დილიდანვე ბორჯომის რაიონის სოფლებიდან ჩამოსულან ასობით მშრომელები. აქვე არიან ხაშურის რაიონის წარმომადგენლები. ისინი აქ მოსულან იმიტომ, რომ მონაწილეობა მიიღონ რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაში, სადაც მოხდება რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშის საზეიმო გადაცემა.

შეკრების დაწყებამდე ერთი საათიღა დარჩენილა. ბორჯომელებს ჯგუფ-ჯგუფად გაუმართავთ საუბრები. ისინი ერთანეთს უზიარებენ სიხარულს, რასაც საიუბილეო წელს მიაღწიეს.

— საიუბილეო წელი ტაბაწყურელებისათვის — თქვა ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. პაპიკიანმა, — მუდამ სამახსოვრო იქნება. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ჩვენი კოლმეურნეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშით იქნა დაჯილდოებული. ამ სიხარულით აღფრთოვანებულები ყველანაერ ფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ყველა დარგში ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადზე და უფრო ადრე შევასრულოთ. საიუბილეო წელს სახელმწიფოს მივეცით რძე 3.486 ცენტნერი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.650 ცენტნერისა, ხორცი — 762 ცენტნერი ნაცვლად 450 ცენტნერისა. ამასთან საგრძნობლად შეგაძლიერეთ მიღებული პროდუქციის თვითღირებულება.

ციხისჯვრის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი პ. ჯაფარიძე, პარტიუროს მდივანი ხ. ბარბაქაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე პ. ტოსტანოვი) რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა. აქ თვითეულ საფურაგე ძროხაზე უკვე მიიღეს 2.250 ლიტრი რძე. ახლა ყოველდღე წლიური გეგმის გადამეტებით ასეულ კილოგრამობით რძეს აძლევენ სახელმწიფოს.

მეურნეობის თავჯარმა ზოოტექნიკოსმა ბ. ხუციშვილმა შეკრების დაწყებამდე ბევრი რამ საინტერესო გვიამბო. აღსანიშნავია მეხბორის გ. ელიოსიძის მუშაობა: მაგალითი, რომელიც ბავშვობიდან მეცხოველეობაში მუშაობს. ელიოსიძეს საიუბილეო წელს ხბოები ისე გამოკვება, რომ თვითეული ერთწლიანი ხბოს წონამ 361 კილოგრამს მიაღწია ნაცვლად 180 კილოგრამისა. ეს ნამდვილად რეკორდია. შეკრების დაწყებამდე ასეთ და სხვა ბევრ საინტერესო საკითხზე საუბარი არ შეწყვეტილა.

დღის პირველი საათია. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულ შეკრებას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ბუხინაძე.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა პარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანს პ. ბოსიძეს. — სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, — თქვა მან, — ბორჯომელი მშრომელები ყოველწლიურად აღწევენ წარმატებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საიუბილეო წლის მაჩვენებლები როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, კერძოდ მეცხოველეობის დარგში. რაიონმა მესამე კვარტალში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულა 235 პროცენტით, რძისა — 133 პროცენტით, კვერცხისა — 217 პროცენტით, პირუტყვის სულადობა 1 ოქტომბრისათვის ამავე წლის 1 იანვართან შედარებით შეადგენდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 105,9 პროცენტს, აქედან ძროხისა — 105,3 პროცენტს, ღორისა — 126,1 პროცენტს, ცხვრისა და თხისა — 117,6 პროცენტს. ამ წარმატებისათვის ბორჯომის რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა. ეს დიდი სიხარულია ბორჯომელებისათვის.

რაიონის მშრომელთა ბეჯითი მუშაობა იმითაც არის აღსანიშნავი, — თქვა მომხსენებელმა, — რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა ყველა სახეობის მიხედვით ყოველთვიურად სრულდება. ამასთან გეგმას ასრულებს ყველა მეურნეობა, კოლმეურნეობა. საუკეთესოთა შორის მან დაასახელა ციხისჯვრის საბჭოთა მეურნეობა, ტაბაწყურის, ჰისარულის, ზანავის, ღინტერის, ყვიბისის, გზერდიშუბნის, გუჯარეთის, ბალანთის, საკირის და სხვა სოფლების მეურნეობები. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების საქმეში აღინიშნა აგრეთვე ბორჯომის ხორცკომბინატის (დირექტორი ნ. ცომაია, პარტბიუროს მდივანი მ. მელქაძე), ყველიასა და კარაქის მთავარი ქარხნის (დირექტორი ბ. ოქრუაშვილი, პარტბიუროს მდივანი ნ. კიკნავიძე), რაიოსპერატიგის (თავმჯდომარე ვ. ლომიძე) გამგეობის კარგი მუშაობა.

საუბილეო წლის დამთავრებამდე რამდენიმე დღე დარჩა, — თქვა მომხსენებელმა. ბორჯომელები 1968 წელს სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან. დეკემბრის მეორე ხუთდღიურისათვის სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 9.789 ცენტნერი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 5.350 ცენტნერისა, რძე — 31.700 ცენტნერი ნაცვლად 25.700 ცენტნერისა. ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა კვერცხის, მატყლის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები.

სიტყვით გამოვიდნენ და მონაწილეებს რაიონის გარდამავალი დროშის მინიჭების საქმეში თავიანთი წვლილის შესახებ უამბეს წაღვერის კოლმეურნეობის ფერმის მწყემსმა ნ. ჯობიძემ, ტაბაწყურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. პაპიკიანმა, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანმა ძ. ბარიძაძემ, საკირის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. აიზარაძემ, ყვიბისის კოლმეურნეობის ფერმის გამგემ პ. ბოგოლაძემ, რაიკომეურატივის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ლომიძემ, ბაკურიანის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. კოკბერიძემ, ხორცკომბინატის დირექტორმა ნ. ცომაიამ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ღ. ბარამიძემ.

სიტყვით გამოვიდა და ბორჯომელებს გარდამავალი წითელი დროშის მიღება მიულოცა ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიასპჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. კორაბლაძემ.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ბ. ბიზიაშვილი. მან შეკრებილ მონაწილეებს გულითადად მიულოცა მესამე კვარტალში მეცხოველეობის დარგში გამარჯვება, უსურვა ახალ-ახალი წარმატებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა სიუხვის შექმნის საქმეში და გარდამავალი წითელი დროშა საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის პირველ მდივანს ბ. ბუხინაძეს.

საპასუხო სიტყვაში ბ. ბუხინაძემ თქვა: ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა დიდად შეაფასეს ბორჯომელთა შრომა. მეცხოველეობის დარგში გარდამავალი წითელი დროშის მიღება მეტს გვავალებს. საიუბილეო წელი როგორც ყველასათვის, ისე ჩვენი რაიონისათვის სასიხარულო წელია. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის რაიონს გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამახსოვრო საიუბილეო წითელი დროშა. ამ დიდ ყურადღებასა და ჯილდოს რაიონის პარტიული ორგანიზაციები, ყველა მშრომელნი უპასუხებენ ახალი გადიდებული ვალდებულებით. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სამშობლოს მივცეთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რაც შეაძლება მეტი პროდუქტები.

შემდეგ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონულმა შეკრებამ მიიღო ასეთი ვალდებულებანი:

1968 წელს სახელმწიფოს შიგყიდით ხორცს 1.000 ტონას ნაცვლად 560 ტონისა, რძეს — 3.100 ტონას ნაცვლად 2.700 ტონისა, მატყლს — 600 ცენტნერს ნაცვლად 450 ცენტნერისა. ვადაზე ადრე შეკვარულებთ ხუთწლიან გეგმას და სასახელო მაჩვენებლებით შეგხვდებით ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულება მიღწეული იქნება მტკიცე საკვების ბაზის შექმნით. კვლავ გაგრძელდება ქცია-ნარანინის სათიბ-საძოვრების გაუჯრობესება. ამ მასივის ათვისებით გადაიჭრება პირუტყვის საკვების ბაზის შექმნის პრობლემა. ფართოდ დაინერგება საკვების დაგროვების საქმეში მექანიზაცია.

მეტი ყურადღება მიექცევა პირუტყვის სადგომების მშენებლობას. ტიპური პროექტებით აიგება 20 ბოსელი 2400 სული პირუტყვისათვის, 4 ფარეხი 4000 სული ცხვრისათვის, დაინერგება შექანიზაცია 1.200 სული პირუტყვისათვის გაბაკუთვნილ 10 ბოსელში.

ბორჯომელები, რომლებიც წარმატებით ამთავრებენ საიუბილეო წელს, კვლავ ენერგიულად განაგრძობენ ლაშქრობას, დროშის შენარჩუნებისა და 1968 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

გაკუერთხილდეთ ჯარგ ტრადიციას

Mთა ოცეულ წელს გადააბიჯა მდიდარი რევოლუციური ტრადიციების მქონე საწარმომ — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ. საწარმო ერთი შეხედვით თითქოს ხანდაზმულია, მაგრამ, როცა თვალს გადაგავლებთ ქარხნის კოლექტივის ამ ათეული წლების მანძილზე განვლილ გზას, ჩავიხედავთ მის შუშურ სამეკლესიოში, გადავფურცლავთ შრომისა და ბრძოლის დიდების წიგნს, ჩვენს თვალწინ წარმოსდგება მრავალკრინახული, ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილი კოლექტივი, რომელსაც ასაკი ვერას აკლებს, პირიქით — პატივისცემით განგაკუფობს, რათა თავი მოვიხაროთ თბილისის პროლეტარიატის ავანგარდის წინაშე, აქ რომ ადგა ფეხი და გაჰყვა ნათელი ცხოვრებისაკენ მიმავალ რევოლუციის ბილიკს.

ქარხანაში სათუთად ინახავენ და ამრავლებენ სახელოვან ტრადიციებს. გულმოდგინედ, თვალსაჩინო ადგილზე აქვთ გამოფენილი ყველა ის მანქანა-იარაღი და დოკუმენტი, რომელსაც რაღმენ აკავშირებს ქარხნის წარსულთან. მდიდარი წარსული კი დასაფასებელია. ეს ხომ კარგად იციან ქარხნის კომუნისტებმა, ყველა მუშამ, და სწორედ ამტკიცებს აქვს ასე დიდი წონა აქ ტრადიციას.

მუშური შრომის დიდებული ისტორია დაწერილია ამ ქარხანაში. დღესაც ემატება მას ნათელი ფურცლები. მაგრამ უკანასკნელ ხანს მშობლიური საწარმოს ბედზე მთელი კოლექტივი ჩაფიქრდა.

საქმე ის არის, რომ მიმდინარე წელს ქარხნის კოლექტივი მოწინააღეებს ჩამორჩა. ნოემბრის გეგმა აქ მხოლოდ 94,8 პროცენტით შესრულდა. ამ ერთ მაჩვენებელს უკან, ბუნებრივია, იმალება ბევრი ნაკლი, რომლებსაც საკმაოდ საფუძვლიანი მიზეზები აქვს. გათვითცნობიერებული ადამიანი ადვილად მიხვდება, რომ ქარხნის ადმინისტრაციის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ყველაფერი რიგზე როდია. მოიკოძლებს პარტიულ-ორგანიზაციული და მოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა, ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, არის შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციას და ა. შ.

დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების ათვის საჭირო გზების ძებნა, განვლილი მუშაობის საფუძვლიანი ანალიზი დღეს ქარხნის კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. სწორედ ეს ზრუნვა გასულ წლიდან ზოლად 25-ე პარტიულ კონფერენციას, რომელმაც საქმიანი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

ქარხნის პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც მისი მდივანი ზ. გილაური გამოვიდა, აგრეთვე კამათში გამოსული კომუნისტების სიტყვებში მთავარი ყურადღება დათმო საწარმოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. აღინიშნა, რომ ადგილი აქვს უნაყოფო ხარჯებს, პროდუქციის გამოშვების არარიტმულობას. სერიოზული შეფერხებაა წარმოების ორგანიზაციის დარგში, ადგილი აქვს იერიშობანას სახელმწიფო გეგმების შესრულების დროს, რასაც თან ხლავს წუნი, ხუსტდება ქარხნის ეკონომია.

მართალია, საიუბილეო წელს ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია, გაუმჯობესა მუშაობა მასებში, აამაღლა მათი შემოქმედებითი აქტივობა. ამან შედეგიც გამოიღო. კოლექტივმა ათი თვის მანძილზე გეგმის გადამეტებით შეასრულა ორი ორთქლმავალი, სამი ქვაბი, გამოუდია 175 ტონა ლითონი, მაგრამ ვერ უზრუნველყო საამქროთა და განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების უნაკლო ხელმძღვანელობა, თვითეულ კომუნისტს ვერ შეაგინებინა ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, სისტემატურად არ უწევდა კონტროლს მათი შესრულების მსვლელობას. ამაში თვით საამქროს პარტიული ორგანიზაციებიც სცოდავენ. ამაზე ჯერ კიდევ საამქროთა და განყოფილებათა პარტიული ბიუროების ანგარიშგება-არჩევნების დროს ამსჯელეს ქარხნის კომუნისტებმა. ორთქლმავლების ამწყობ, დამშლელ-დამკომპლექტებელ, მექანიკურ-საიარაღო, სამგზავრო-სავაგონო და სხვა საამქროების საანგარიშო კრებებზე კომუნისტებმა აღნიშნეს ახალი ტექნიკისა და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვაში არსებული სიძნელენი. მათ მოითხოვეს მანქანა-დანადგართა პარკის მოდერნიზაციისა და ახლით შეცვლის დაჩქარება. სამართლიანად გააკრიტიკეს საპეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, დასახეს ღონისძიებანი მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის საკითხი, რომელიც პარტიული ბიუროების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე წამოიჭრა, ძალიან მწვავედ დგას ქარხნის ადმინისტრაციისა და პარტიული კომიტეტის წინაშე.

დასამალავი როდია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმო დღეს ტექნიკურად მეტად ჩამორჩენილია. ქარხანა ხამ საწარმოს აერთიანებს: ორთქლმავლების, ვაგონებისა და სექციების წარმოებას, არსებობს ნაკედისა და სხმულების წარმოებებიც. ეს რთული ორგანიზმი უამრავ ტექნიკურ მასალას მოითხოვს, ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც ტექნიკური პროგრესის გზაზე ქარხანამ უკანასკნელ ხანს რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. წელს აქ 25 ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება განხორციელდა. ქარხნის 6 საამქროში დააყენეს სამტონიანი ტელფერი, ერთ საამქროში მაგნეტური ამწე და სხვ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია. საწარმოს კომუნისტებს ამ მხრივ დიდი მუშაობა მოუხდებათ. ამაში თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან პარტიულმა კომიტეტმა, საამქროთა და განყოფილებათა პარტიულმა ჯგუფებმა, თვითეულმა კომუნისტმა.

პარტიულ კონფერენციაზე მრავალ არსებით საკითხს შორის წინა პლანზე იყო წამოწეული შრომითი და საწარმოო დისციპლინის, კომუნისტთა აქტივობისა და ინიციატივის საკითხები. დიდი ყურადღება დაეთმო კომუნისტთა პირად მაგალითს. ამ მხრივ პარტიულ ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე როდია. არის შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაც პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სისუსტეზე მიგვითითებს. ქარხნის 2.000-იან კოლექტივში, რომლის თითქმის ყოველი მესამე წევრი კომუნისტია, ბევრია ენერგიული, ინიციატივიანი მუშაკი, მაგრამ, როგორც იტყვიან, „შუბი ხალთაში არ დიმალება". 11 თვეში ქარხანაში შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის 269 ფაქტია აღრიცხული. სამწუხაროა ისიც, რომ დამრღვევთა შორის არიან კომუნისტები და კომკავშირელები. კომფერენციაზე სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ამ ფაქტზე განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება.

ქარხნის პარტიული კომიტეტი საანგარიშო პერიოდში ძირად განიხილავდა საამქროთა სამეურნეო და პარტიული მუშაობის საკითხებს, სწორად იყენებდა სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი პარტიული კონტროლის უფლებას, გამოაქონდა საქმიანი დადგენილებები და იბრძოდა მათი შესრულებისათვის. მაგრამ კონტროლი მაინც არ იყო სისტემატური, ყოველთვის ვერ იყო მაღალი მომთხოვნელობა.

კომუნისტებმა ახლიც თქვეს, რომ პარტიულ კომიტეტს, საამქროს პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიულ ჯგუფებს, უფრო მეტი უნდა ემუშავნათ ახალგაზრდა კომუნისტებთან, მეტი უნდა ეზრუნათ მათი იდეური დონის ამაღლებისათვის. როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, შემდგომში ხშირად უნდა მოეწყოს ახალგაზრდული პარტორგანიზაციების მდივნების სემინარები პარტიული მუშაობის, პარტიული კრებების მომზადების, დავალებათა განაწილების საკითხებზე.

კამათში გამოსული კომუნისტების გ. კაპანაძეშვილის, ვ. კალაფანიკოვის, ა. ფანცულაიას, ი. კამლაძის, კ. ლეშჩენკოს, მ. სიმონიანის, ა. სამანიშვილის, ი. ბოლოქოკაძის, გ. ოსეფაიშვილის სიტყვებში ჩანდა საკუთარი საწარმოს მომავლისთვის დიდი ზრუნვა. ისინი შეეხნენ ქარხნის შიდარეზერვების მოლიანად გამოყენების, საწარმოოს სიმძლავრეების ათვისების, საწარმოს რიტმული მუშაობის საკითხებს, რომლებიც მომავალში მოლიანად უნდა გადაიჭრას.

ქარხნის უფროსმა ბ. ბაბაბმრიკეშვილმა გამოსვლაში აღნიშნა, რომ საწარმო ეფრიოზული ღონისძიებებს ანხორციელებს. საკმაოდ საწარმოდ რეალიზებულ იქნა ახალი პროდუქცია, რომელის გატანაც კიდევ აუცილებელია.

პარტიულ კონფერენციაზე დიდი ყურადღება [illegible] ... ტექნიკურ-ეკონომიკურ ... ეტაპზე ... ასევე ... ღონისძიებათა [illegible] ... ბოლოვანი [illegible] ... ბალანსი [illegible] ... ეფექტურობა, ასევე ... ღონისძიებათა [illegible] ... ბოლოვანი [illegible] ... ეფექტურობა.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. კუბაკაძემ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა ავრეთვე პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის პირველი მდივანი დ. აბუთიძე.

კონფერენციამ პარტიული კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო, ერთხმად მიიღო სათანადო დადგენილება და აირჩია კომიტეტის ახალი შემადგენლობა. პარტიული კომიტეტის მდივნად კვლავ არჩეულია ზ. გილაური.

* * *

დასასრულს უახლოვდება საიუბილეო წელი. თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მრავალრიცხოვანმა პარტიულმა ორგანიზაციამ წლიური გეგმების შესრულებისათვის უნდა იზრუნოს. ბუნებრივია, მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს მომავლის გეგმებიც. ხუთწლედის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრ ვალდებულებათა განადგენისათვის საჭიროა აქედანვე დაირაზმოს საწარმოს მთელი კოლექტივი.

რ. მელიძე.

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

ქუთაისი, 19 დეკემბერი. (საქდესი). „ხელები შორს ვიეტნამისაგან!", „გმირ ვიეტნამელ ხალხს ვერ დამარცხებენ!" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშათა და მოსამსახურეთა მიტინგი, რომელზეც მათ გამოთქვეს თავიანთი აღშფოთება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გამო ვიეტნამში.

მიტინგი გახსნა ქარხნის დირექტორმა გ. კობალაძემ.

ტრიბუნაზეა სოციალისტური შრომის გმირი ი. ხაზარაძე.

— ჩვენ, ქართველი ავტომობილმშენებლები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, აღშფოთებული ვართ ამერიკელ აგრესორთა ბარბაროსული მოქმედებით ყოველად უდანაშაულო თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ოკეანისგაღმელმა მტრვალებმა უნდა იცოდნენ, რომ ვერავითარი იარაღით ვერ დააშინებენ ხალხს, რომელიც თავის ბედნიერებას აშენებს. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვუერთდებით მთელი პროგრესული კაცობრიობის პროტესტს და მოვითხოვთ: ამერიკელო აგრესორებო, გეთრიეთ ვიეტნამიდან!

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ვიეტნამელი ხალხი მოიპოვებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ბინძური ომი.

მეგობრული სურვილები ვიეტნამელ ხალხს

აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა 19 დეკემბერს დეპეშა გაუგზავნა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მუდმივ წარმომადგენლობას მოსკოვში.

საქართველოს საზოგადოებრიობის ფართო წრეების სახელით, ნათქვამია დეპეშაში, მხურვალედ და გულითადად გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სახელოვან წლისთავს და ძმურ სოლიდარობასა და სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ თქვენს გმირულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამერიკელ აგრესორთა და მათ დაქირავებულთა წინააღმდეგ.

გვახარებს და აღგვაფრთოვანებს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ახალი გამარჯვებები, რომლებიც განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობით აახლოებენ ინტერვენტებზე სრული და საბოლოო გამარჯვების დღეს.

(საქდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

ა. ა. გრომიკო ვარშავაში

ვარშავა, 19 დეკემბერი. (საქდესი). დღეს ვარშავაში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის სოციალისტური ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

თავს ესხმიან პანოის

პანოი, 19 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ბ. პეტროვი იტყობინება:

მეექვსე დღეა ზედიზედ თავს ესხმის ამერიკის ავიაცია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქს. ამერიკის ავიაცია პანოისა და მისი გარეუბნების საცხოვრებელ უბნებს ესხმენს ნათნტიან ბომბებს, მართალ რაკეტებს, სხვადასხვა სასტვენისა და ყალბრის საავიაციო ბომბებს.

სასტვენი დაბომბვისა და ეიეცლის დროს ნის მსხვერპლია ქალები, მოხუცები, ბავშვები. ქალაქის ბევრ ქოჩაზე დაინერა სახლები.

პანოის დამცველებმა 14-დან 18 დეკემბრამდე ჩამოაგდეს 12 ამერიკული თვითმფრინავი.

ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება

ლონდონი, 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ო. პიოვაროვი იუწყება:

დღეს თემთა პალატაში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ძალაში დატოვოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იარაღის მიწოდების აკრძალვა. ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად.

ვილსონის ეს განცხადება მოჰყვა მთავრობის დღევანდელ საგანგებო სხდომას, რომელიც როგორც საქმეში გარკვეულ მეთვალყურეთა ცნობები მოწმობენ, მიმდინარეობდა მძაფრ ვითარებაში: მთავრობის მემარჯვენე ფრთა მოითხოვდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იარაღის გაყიდვის აკრძალვის გაუქმებას ინგლისს ეკონომიურ სიძნელეებთან დაკავშირებით.

ინგლისის პრემიერმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს ძალაში დატოვების გადაწყვეტილება მთავრობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა. ამ განცხადებამ დეპუტატთა სიცილი გამოიწვია. ინგლისის პრესა, იმოწმებს რა უტყუარ წყაროებს, უკვე რამდენიმე დღეა იუწყება, რომ ამ საკითხზე მთავრობაში სერიოზული უთანხმოებანია და რომ „მემარჯვენეთა ჯგუფს", რომელიც ემბარგოს გაუქმებას მოითხოვს, მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი ბრაუნი.

დეპუტატები კონსერვატიული პარტიისგან ვილსონს განცხადებას საპროტესტო შეძახილებით შეეხვდნენ.

ავსტრალიის ახალი პრემიერ-მინისტრი

კამბერა, 19 დეკემბერი. (საკდესი). ჯონ მაკიუენმა — აგრარული პარტიის ლიდერმა, რომელიც უმცირესობას შეადგენს მთავრობის კოალიციაში, დღეს ფიცი დადო როგორც ავსტრალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა.

ჯონ მაკიუენი დაიბადა 1900 წლის 29 მარტს ფერმერის ოჯახში. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შესამნევი როლს ასრულებდა 1934 წლიდან. არაერთხელ აურჩევიათ წარმომადგენლთა პალატის წევრად, ეკავა შინაგან საქმეთა მინისტრის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტები.

1958 წელს აირჩიეს აგრარული პარტიის ლიდერად, რომელიც შედის მმართველ კოალიციაში.

ჰოლტის უკანასკნელ კაბინეტში მაკიუენს ეკავა პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის პოსტი. მაკიუენი გადაჭრით უჭერს მხარს ავსტრალიის კავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ავსტრალიის მონაწილეობას ვიეტნამის ომში.

ლ. ვაშკანსკის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). უკანასკნელ რამდენიმე საათში ჯანმრთელობის მდგომარეობა ლ. ვაშკანსკისა, რომელსაც 18 დღის წინათ გაუკეთეს გულის გადანერგვის ოპერაცია, მკვეთრად გაუარესდა.

რეიტერის საინფორმაციო კორესპონდენტი იუწყება, რომ კეიპტაუნელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კეიპტაუნის „ხროტე სხიურის" საავადმყოფოს მკურნალი ექიმების ცნობების თანახმად, მათი პაციენტის მდგომარეობა „ძალიან მძიმეა". როგორც მათ თქვეს, გაჩნდა აშკარა ნიშნები იმისა, რომ ლ. ვაშკანსკის ორგანიზმი „უარყოფს სხვის გულს".

თვითმფრინავი ქალაქში ჩავარდა

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ორმოტორიანი ავიაგამანადგურებელი „ფ-4 ფანტომი" გუშინ აფრენის დროს დაეჯახა ქალაქ ტაქსონის (არიზონის შტატი) უზარმაზარი უნივერსალური მაღაზიის შენობას და აფეთქდა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კატასტროფის შემდეგ პირველ საათებში პოლიციამ და მეხანძრეებმა იპოვეს ექვსი დახოცილი და ოცი დაჭრილი. მეხანძრეებმა მოახერხეს კატასტროფირება.

აფრიკა ფუვეტს დაქირავებულთა გედს

კამპალა, 18 დეკემბერი. (საკდესი). კონგოსის კონგოს პრეზიდენტი ჟოზეფ მობუტუ და რუანდის პრეზიდენტი გრეგუარ კაიბანდა 20 დეკემბერს შეხვდებიან ერომანვილს რუანდის ტერიტორიაზე მდებარე მანგუგის სპეციალურ ბანაკში ინტერნირებული 130 დაქირავებულის შემდგომი ბედის განსახილველად.

როგორც აქ გაგზავნილნი, შეხვედრა გაიმართება ტანზანიის დედაქალაქ დარ-ეს-სალამში.

დაქირავებულები, რომელთაგან უმრავლესობა ბელგიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, პორტუგალიისა და ევროპის სხვა სახელწიფოთა, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის მოქალაქეა, ნომბერში გაიქცნენ ელისაბეთვილ კონგოდან, მას შემდეგ, რაც ჩაახშეს მობუტუს მთავრობის წინააღმდეგ მათ მიერ დაწყებული ამბოხება.

სამშობლოში მათი დაბრუნების პირობად კონგოს მთავრობამ სახელმწიფოებს, რომელთა მოქალაქენი ეს დაქირავებულები არიან, მოსთხოვა მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება, კერძოდ, ბანდიტების მიერ დანგრეულ ქალაქ ბუკავუს აღდგენა. თუ ამ პირობას არ შეასრულებენ, კონგოს მთავრობა დაჟინებით მოითხოვს დაქირავებულთა გაცემას.

აქ აგრეთვე ცნობილი გახდა, რომ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც აფრიკაში დაქირავებულთა პრობლემის დადასაწყვეტად შეიქმნა, მხარი დაუჭირა მობუტუს მთავრობისათვის დაქირავებულთა გადაცემას, რათა ისინი გასამართლონ კონგოს კანონებით.

გენერალი გრივასი შინაპატიმრობაშია

პარიზი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გენერალი გრივასი, რომელიც სარდლობდა საბერძნეთის შეიარაღებულ ძალებს კიპროსში, შინაპატიმრობაშია. მისი ვილა დაკავეს პოლიციელებმა და მკაცრად იცავენ.

ფიქრობენ, რომ სამხედრო ხუნტამ გენერალი გრივასი დაუპატიმრა მისი კავშირის გამო ზოგიერთ მოღვაწეებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ მეფე კონსტანტინეს ამასწინანდელ „კონტრგადატრიალებაში".

მდგომარეობა საბერძნეთში

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკდესი). საბერძნეთის სამხედრო ხუნტა და რომში გაქცეული მეფე კონსტანტინე ჯერ კიდევ ვერ მორიგებულან ამ უკანასკნელის საბერძნეთში დაბრუნების პირობების შესახებ. ამას იტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საააგენტოს კორესპონდენტი ათენიდან. მოლაპარაკების განსაგრძობად რომში გაემგზავრა მეფის ოჯახის მეგობარი გადამდგარი გენერალი ხ. პოტამიანოსი. გამგზავრების წინ იგი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს პიპინელისს.

ამასობაში ხუნტა გაძლიერებით წმენდს არმიის მეთაურთა შემადგენლობას „არაკეთილსაიმედო" და ხუნტისათვის არასასურველი პირებისაგან. დღეს სამხედრო მთავრობამ გადაიყენა ხუთი გენერალ-ლეიტენანტი. — ჩინით ყველაზე უფროსი გენერლები საბერძნეთის არმიაში. მათ შორის არის პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე გ. სპანდიდაკისი, რომელიც პოლკოვნიკთა ხუნტას მიემხრო აპრილის გადატრიალების დროს. გარდა გ. სპანდიდაკისისა, გადაყენებული არიან სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი ავიაციის მარშალი გ. ანტონაკოსი, სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსი ადმირალი ი. დედოსი, კიდევ ოთხი კონტრ-ადმირალი და 15 უფროსი ოფიცერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ვაჭრობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება:

1. **აგრბას** ელენე მაქსიმეს ასულს — ოჩამჩირის № 3 რაიონული მაღაზიის სექციის გამგეს.
2. **ამბროლაძეს** ალექსანდრე ვასილის-ძეს — ცეკავშირის განყოფილების უფროსს.
3. **ასათიანს** ანდრო ალექსანდრეს-ძეს — ცეკავშირის მთავარდამზადების სამმართველოს ქუთაისის სასურსათო კომბინატის დირექტორს.
4. **ბუხრაძეს** კონსტანტინე ანდრიასძეს — ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს.
5. **გაბუნიას** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს — გეგეჭკორის რაიკოოპკავშირის ცხაკაიას სატრანზიტო სწყობის გამგეს.
6. **გალდავაძეს** გიორგი კონსტანტინეს-ძეს — თბილისოვლეკავშრობის № 3 მაღაზიის დირექტორს.
7. **გოგანაშვილს** ლუბა გიორგის ასულს — ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის სავაჭრო წერტილის გამგეს.
8. **გუგუნავას** პეტრე ანტონის-ძეს — ცეკავშირის განყოფილების უფროსის მოადგილეს.
9. **დათუკიშვილს** ოთარ ნიკოლოზის-ძეს — წოთელწყაროს რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს.
10. **დათუნაშვილს** ვალერიან გრიგოლის-ძეს — მახარაძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს.
11. **დემეტრაძეს** გიორგი სიმონის-ძეს — ცეკავშირის ვაჭრობის სამმართველოს უფროსს საონელმცოდნეს.
12. **დიდმამაშვილს** ვლადიმერ სტეფნეს-ძეს — თბილისის საცალო ვაჭრობის ორგანიზაციების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
13. **დოლიძეს** გიორგი ერემიას-ძეს — თბილისის საცალო ვაჭრობის სამმართველოს ორგინსპექტორს.
14. **დოლიძეს** ილია მიხეილის-ძეს — „საქუთველერავაჭრობის" მაბარაძის № 14 მაღაზიის გამგეს.
15. **დონაძეს** ნატრისა ანტონის ასულს — „საქუთველერავაჭრობის" დირექტორს.
16. **ერგემლიძეს** კონსტანტინე ივანეს-ძეს — „საქხორცკარაქთეევაჭრობის" განყოფილების უფროსს.
17. **ზვიადაძეს** გურამ ვასილის-ძეს — „რუსთავვაჭრობის" № 36 მაღაზიის გამგეს.
18. **იაშვილს** ნოე ევგრაფის-ძეს — ქ. თბილისის № 18 სასადილოს გამგეს.
19. **კაკუბავას** ვლადიმერ ფაბერის-ძეს — აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფ. ღუმერიშის მაღაზიის გამგეს.
20. **კალანდაძეს** ვარლამ ალექსანდრეს-ძეს — ცენტროსოიუზის „ყოფაპასილტორგის" თბილისის ბაზის დირექტორს.
21. **კანზაველს** ცაბი ისაკის-ძეს — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
22. **კვალიაშვილს** ვლადიმერ ვასილის-ძეს — ცეკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს.
23. **კვაჭანტირაძეს** ილია ისიდორეს-ძეს — „ქუთაისკვებვაჭრობის" № 46 მაღაზიის გამგეს.
24. **კისელევს** პავლე კონსტანტინეს-ძეს — „სოხუმმრეწვავაჭრობის" განყოფილების უფროსს.
25. **კოლელაშვილს** ლიდა ალექსანდრეს ასულს — თელავის რაიკოოპკავშირის რაიონული მაღაზიის სექციონერს.
26. **ლალაშვილს** დავით სოლომონის-ძეს — თბილუნივერმაღის № 2 მაღაზია „ლუქსის" დირექტორს.
27. **ლაბაშვილს** ვლადიმერ თეოდორეს-ძეს — წოთელწყაროს რაიონის სოფელ წოთელწყაროს № 1 მაღაზიის გამგეს.
28. **მარღანიას** ვარლამ ომარის-ძეს — აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრს.
29. **მაისურაძეს** ნიკოლოზ ილიას-ძეს — „საქბაკალეის" რესპუბლიკური კანტორის მმართველს.
30. **მგელაძეს** მარგარიტა რაჟდენის ასულს — „საქვაჭრობის" საზეკვების განყოფილების უფროს ტექნოლოგ-კულინარს.
31. **მებუკეს** მიხეილ პეტრეს-ძეს — ცეკავშირის ქუთაისის სავაჭრო ბაზის საქონელმცოდნეს.
32. **მესხს** გრიგოლ ანთიმოზის-ძეს — „საქვაჭრობის" საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროს ეკონომისტს.
33. **მეტრეველს** დავით ლუკას-ძეს — წყალტუბოს ჩაის ფაბრიკის მუშათა სასადილოს მზარეულს.
34. **ნავროზაშვილს** მარიამ ალექსანდრეს ასულს — მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის უფროს საქონელმცოდნეს.
35. **რთველაძეს** ალექსანდრე აბსენის-ძეს — შემფბარეულს.
36. **რუხაძეს** ალექსანდრე ბარნაბის-ძეს — ა/კ რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების № 75 მაღაზიის გამგეს.
37. **სალნიკოვას** ოლგა იაკობის ასულს — გუდაუთის რაიონის დიეტური სასადილოს მზარეულს.
38. **სერგიას** დავით ჩაისიმის-ძეს — „აჭარკეორორტვაჭრობის" № 18 მაღაზიის გამგეს.
39. **სითათაშვილს** მიხეილ დავითის-ძეს — ხულოს № 1 სასადილოს მზარეულს.
40. **სიხარულიძეს** გრიგოლ იოსების-ძეს — ტყიბულის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარეს.
41. **სოხანიძეს** სტეფანე ივანეს-ძეს — გორვაჭრობის № 47 მაღაზიის გამგე-გამყიდველს.
42. **სუსუნიკაშვილს** თამარ ბორისის ასულს — მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექტორის მოადგილეს.
43. **ტარბას** კებეი ჩუბოვის-ძეს — გუდაუთის რაიონის სოფლის მაღაზიის გამგეს.
44. **ტატიშვილს** ლუსია ზაქარიას ასულს — ლაგოდეხის რაიონული მაღაზიის პასუხისმგებელ გამყიდველს.
45. **ფაშტანს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს — გეგეჭკორის სამომხმარებლო საზოგადოების მექანიზებული პუნის საცხობის გამგეს.
46. **ფირცხალავას** პარმენ ბესარიონის-ძეს — „ბათუმმრეწვავაჭრობის" საჩუქრების № 1 მაღაზიის დირექტორს.
47. **ღლონტს** ალექსანდრე დიმიტრის-ძეს — „ბათუმმრეწვავაჭრობის" № 61 მაღაზიის უფროს გამყიდველს.
48. **ყურაშვილს** მიხეილ არსენის-ძეს — თბილისის აეროპორტის რესტორნის დირექტორს.
49. **შენგელიას** ლეონტი აქვსენტის-ძეს — ზუგდიდის რესტორან „ოდიშის" დირექტორს.
50. **შერვაშიძეს** ჯემალ ოსმანის-ძეს — ბათუმის რაიონის ხელვაჩაურის სამომხმარებლო საზოგადოების თხილნარის მაღაზიის გამგე-გამყიდველს.
51. **ჩიხრაძეს** ივანე გრიგოლის-ძეს — რესტორნებისა და კაფეების თბილისის ტრესტის რესტორან „ბუდაპეშტის" მზარეულს.
52. **შუბერაძეს** სერგო არკადის-ძეს — „საქხეტყესაშენვაჭრობის" განყოფილების უფროსს.
53. **ცხადაიას** ბოჩო მელიტონის-ძეს — ცეკავშირის ხობის სამომხმარებლო საზოგადოების სასურსათო მაღაზიის გამგე-გამყიდველს.
54. **წვერავას** მიხეილ დიმიტრის-ძეს — „საქტანსაცმელეეაჭრობის" რესპუბლიკური ბაზის მმართველს.
55. **წინამძღვრიშვილს** ივანე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსს.
56. **ჭიბალაშვილს** დავით ექვთიმის-ძეს — სადგურ თბილისის რესტორნის დირექტორს.
57. **ხარბედიას** ასლან ექვთიმეს-ძეს — თბილუნივერმაღის დირექტორს.
58. **ხვარჩეკიას** ზინაიდა მიხეილის ასულს — „სოხუმმრეწვავაჭრობის" № 15 მაღაზიის გამყიდველს.
59. **ხვინგიას** გიორგი პლატონის-ძეს — თბილისის № 2 უნივერმაღის დირექტორს.
60. **ხიშბას** მარიამ სელიმის ასულს — გაგრის სამომხმარებლო საზოგადოების № 8 მაღაზიის გამგეს.
61. **ჯანდიერს** მიხეილ იოსების-ძეს — საქართველოს სს რესპუბლიკური საბითუმო სავაჭრო ბაზის „საქართველოს გალანტერეას" მმართველს.
62. **ჯობაძეს** სერგო თადეოზის-ძეს — შეფმზარეულს.
63. **ჯობიძ

კომუნისტი

მკითხველები გვირჩევენ. გვთავაზობენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახელო შრომის ნოგათეგი

საიუბილეო წლის ფოსტიდან

მკითხველთა წერილები ყოველდღიურად მოდის გაზეთში, დღე ერთია, წერილი — ათასი. გვწერენ: ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, სატრანსპორტო, სამშენებლო ორგანიზაციებიდან, რესპუბლიკის ყველა კუთხიდან... მათი ადრესატების ჩამოთვლა შორს წაგიყვანდა.

1967 წელი საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის გაშლილი შეჯიბრებით დაიწყო. ყოველდღიურად, ყოველ დეკადაში, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად გვაწვდიდნენ შრომელები თავიანთ ხმას, გვიპატაჟებდნენ საიუბილეო ვალდებულებების ცალკეულ ეტაპებზე შესრულებას. გვწერდნენ ახალ ეკონომიურ რეფორმაზე, წარმოებაში დანერგილ ტექნიკურ სიახლეზე, ტრანსპორტის მოძრაობის მტკივნეულ საკითხებზე, მშენებლობისათვის საჭირო ახალ მასალებზე, და რაც მთავარია, მშრომელ ადამიანებზე, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებაში.

საწარმოთა და ორგანიზაციათა უმრავლესობამ დღესასწაულისათვის პირნათლად შესრულა ნაკისრი ვალდებულებანი. დაიწყო ბრძოლა წლიური გეგმების შესრულებისათვის, შეფდეგი ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ხუთწლედის დადგმე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

მშრომელთა სიტყვა ყოველდღიურად ისტამბულოდა გზეთის ფურცლებზე, მაგრამ ნაწილი წერილების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, ისე უხვი იყო საიუბილეო ფოსტა. დღეს სწორედ ამ წერილების მიმოხილვას ვუთმობთ ადგილს.

— დიდი სიხარულით ხვდებიან ოქტომბრის იუბილეს თბილისის მაუდკამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მშრომელები. დავალებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საქსოვი საამქროს ბრიგადები, — გვწერდა იუბილეს წინა დღეებში კომბინატის წუნმდებელი **ციალა ფალავანდიშვილი** და თავის წერილს ასე ამთავრებდა: ფიქრები ღირსეულად შეხვდებიან დიდ იუბილეს.

თითქმის ასეთი სიტყვებით მთავრდება ამ პერიოდში შემოსული ყველა წერილი. მშრომელები თავდადებით იღვწოდნენ საიუბილეო შრომითს ვახტზე.

ჩვენთან დიდი მუშაობა გაიშალა, — გვატყობინებდა „სამტრესტის“ საწარმოო განყოფილების უფროსი **ვ. გელაშვილი,** — ქართველი მეღვინეები საიუბილეო სუფრის დასამშვენებლად გამოუშვებენ 200 ათასამდე ღვინის, ლიქიორის, შამპანურისა და კონიაკის სუვენირს, 790 ათას ბოთლ სუფრის ღვინოებს, გამოშვებული იქნება აგრეთვე ახალი მარკის ღვინოებიც...

ბოთლმარბელებმა უკვე მიიღო ეს ნაწარმი და, ვფიქრობთ, კმაყოფილი დარჩა სამტრესტის ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციით.

„სიახლე საქართველოს შახტმშენებლობაში“ — ასეთი სათაური აქვს ტრესტ „საქორგტექმშენის“ მმართველის, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერის **რ. ნინიძის** სტატიას, რომელიც გვამცნობს, რომ საქართველოს შახტმშენებლობაში განხორციელდა მეტად მნიშვნელოვანი სიახლე — ჰორიზონტალური სამთო გამონამუშევრების დაბეტონებით გამაგრების მექანიზაცია, რაც შახტების მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა თანხების მნიშვნელოვან ეკონომიასთან ერთად აჩქარებს შახტების საექსპლოატაციოდ გადაცემას და თითქმის ერთიორად ზრდის შრომის ნაყოფიერებას...

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა ნაწილი საიუბილეო წელს დაგეგმისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდა.

ამ თემას ეძღვნება სამთო ინჟინერის **გ. ბაღდასაროვისა** და **ა. უუშტაშვილის** წერილი, რომელიც ეხება საქართველოს სსრ სამთო საწარმოების ახალ სისტემაზე გადასვლისათვის მზადების საკითხს.

წარმოებაში ახალი ტექნოლოგიის გამდიდრულად დანერგვის საკითხებს შესახებ გვწერს რუსთავის ქიმიური კომბინატის მთავარი. ტექნოლოგი **ნ. სიხარულიძე,** ხოლო გორის საკონსერვო კომბინატის ეკონომისტი **შალვა სულთანიშვილი** თანმიმდევრულად მოგვითხრობს საწარმოში ტექნიკური პროგრესის განხორციელებაზე, პროდუქციის ხარისხზე, რენტაბელობაზე, რაციონალიზატორულ წინადადებათა მნიშვნელობაზე.

თბილისის საკანალიზაციო ტრესტის მუშაობაზე გვწერს ტრესტის მმართველი **მ. ნემსაძე,** ქარხანა „გაზოაპარატის“ კოლექტივის საიუბილეო წარმატებებზე გვიამბობს ქარხნის დირექტორი **შ. ჯაფარიძე.**

შესანიშნავ საჩუქარს უმზადებს სამშობლოს ჩვენი კოლექტივი, — იუბილემდე იტყობინებოდა მთავარი თბილმშენის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსი **ი. კვარაცხელია,** — 7 ნოემბერს საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმრო „ევერია“.. მშენებლებმა სიტყვა აქციეს, „ევერიამ“ მართლაც სადღესასწაულოდ მიიღო თბილისის სტუმრები.

თუ ერთნი საიუბილეო საჩუქრებზე გვწერდნენ, სხვებს შრომისა და საწარმოო ჰიგიენის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ტექნიკისა და სხვა საკითხები აინტერესებდათ. ამ თემებზე წერილები გამოგვიგზავნეს რესპუბლიკის სანეპიტსადგურის სამრეწველო ლაბორატორიის ქიმიკოსმა **მ. ზონენაშვილმა,** თბილისელმა ინჟინერმა **შ. ლეკვეიშვილმა,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა **ელ. ვახაძემ** და სხვ...

დასასრულს უახლოვდება საიუბილეო წელი. რესპუბლიკის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. შეჯიბრებამ საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო. შემოსული წერილებიც სწორედ ამ თემას ეძღვნება.

ახალი წარმატებების მოსაპოვებლად ემზადებიან რუსთავის ამწეთსამშენებლო ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ბრიგადის წევრები... ხუთწლედის გეგმას შეკასრულებენ 1969 წლის 7 ნოემბრისათვის, გვწერს ამ ბრიგადის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორი, ქარხნის მთავარი ინჟინერი **გ. დემეტრაშვილი.**

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ახალ ვალდებულებებს კისრულობენ ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა სამმართველოს № 1 შახტის (უფროსი **გ. ჯიშკარიანი**), თბილისის ჩაისადამწონი ფაბრიკის (დირექტორი **მ. სარჯველაძე**), ჭიათურმარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი **ვ. სამხარაძე**), პერვომისის მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი **ს. პეტრიაშვილი**), დმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს (დირექტორი **ნ. ჩხენკელი**) და სხვ. კოლექტივები. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

საიუბილეო წლის გეგმების შესრულება საწარმოთა და ორგანიზაციათა დღევანდელი საქმიანობის ნიშანსვეტია. ახალ წლამდე ორი კვირაღა დარჩა, მაგრამ მრავალმა მათგანმა უკვე გაანაღდა წლიური გეგმები. ამის შესახებ რედაქციაში ბევრი წერილი შოდის. არის წლიური გეგმა, — გვწერენ ჭიათურის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორი **ვ. ხაბხარაძე** და პარტიული კომიტეტის მდივანი **პ. კაპანაძე,** — სამშობლოს წლის ბოლომდე გეგმის გადამტებით მოვცემთ ათასობით ტონა მაღალი ხარისხის მარგანეცს.

თავიანთი კოლექტივების შრომითს წარმატებებზე, სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე გვწერენ გულრიფშის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის დირექტორი **ს. ჭარჩავა,** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ივ. ხოშოლავა,** ინჟინერ-რაციონალიზატორი **გ. სტურუა,** ტრესტ „საქნახშირმადნეულ ლ ი ე ბ ი ს“ შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი **ნ. ჯორჯაძე,** „მთავართბილმშენის“ უ ფ რ ო ს ი **გ. შენგელია,** წულუკიძის ჩაის ფაბრიკის დირექტორი **ი. ქაშიბაძე,** საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცხაკაიას სასწავლო საწარმოო წარმოწყების დირექტორი **დ. ჯალაღონია, ზესტაფონის** ქარხანა „საქკაბელის“ დირექტორი **დ. კუხაიანიძე** და სხვ.

რედაქციის წულუკიძის მშრომელთა საქმიანობაზე სისტემატიურად აწვდიდა წერილებს **ს. კუჭავა,** სხვადასხვა დროს ინფორმაციები და წერილები გამოგვგზავნეს **დ. ჩიტაიშვილმა, კ. ბაბუროვმა, ლ. პოხმა, ს. სავჩენკომ** (ქუთაისი), **ფ. წიქარაძემ** და **შ. როსტომაშვილმა** (თელავი), **ა. ობოლაძემ** (ადიგენი), **დ. ფარემუზოვმა** (ხაშური), **გ. გეგუჩაძემ** (წულუკიძე), **ბ. მილიუტინმა** (ცხაკაია), **შ. დობორჯგინიძემ** (მახარაძე), **რ. კობიძემ, რ. შუხტერმა** (ბათუმი), **ნ. ჯინჭიხაძემ** (ტყიბული), **მ. მოდებაძემ** (სალიეთი), **ა. ანასაშვილმა** (საჩხერე) და სხვებმა.

საიუბილეო წლის ფოსტამ შრომელ ადამიანთა მრავალი წერილი მოიტანა გაზეთში. ბევრი მათგანი დაიბეჭდა კიდეც, მაგრამ ნაწილის გამოქვეყნება არ მოხერხდა — გაზეთი ერთია, მკითხველი ათასი. ჩვენ ვიცით, რა მოუთმენლად ელოდნენ პასუხს წერილის ავტორები, როგორ უნდოდათ თავიანთი სიტყვა მიეწვდინათ სამშობლოსათვის, მოეთხროთ საკუთარ წარმატებებზე, მეგობრებზე, შრომითს ენთუზიაზმზე, შემართებზე. ამიტომაც შეადგინეთ ეს მიმოხილვა და, ვფიქრობთ, ტყუილუბრალოდ არ ვბეჭდავთ მას, ვინაიდან თქვენი ალალი წერილები, ძვირფასო მეგობრებო, ჭეშმარიტად შემოქმედებითი შრომის ნათელი დადასტურებაა და ჩვენც მომავალში უფრო ვრცელი, ჟურნალისტური გამოსვლის უფლებას გვაძლევს.

სოფლის არტეროია

თოვს... ასხის მთებიდან მოვარდნილი ქარბორბალა პაერში თოვლის ფანტელებს ატრიალებს და მგზავრებს სახეში აყრის.

ძნელია ბიდზე გავლა.

ორღობეში თხმელის ნედლი ლეუღრით დატვირთული ურემი ტალახში ჩაფლულა. ამოგანგალული, ძარღვებდაბერილი ხარები ამაოდ ცდილობენ ადგილიდან დაძვრას. ამაოდ იქნევს შოლტს კოფოზე წამომჯდარი მეურმე...

ჭალაჭიდან მომავალი, ზურგზე ტვირთაკიდებული მგზავრები ხვნეშით მიმყუდნიან აღმართს.

— ჯოჯოხეთია პირდაპირ!.. ამახაც თუ გზა ჰქვია!

ასეთ სურათს, ასეთ საყვედურებს ხშირად ნახავდით და გაიგონებდით გეგმკორის რაიონის სოფელ ნახუნავის გზაზე.

ამ დიდი და მდიდარი სოფლის მოსახლეობა დიდხანს იყო შეწუხებული უგზოობით. წყალდიდობისა, თუ დადთოვლობისას სოფელი თითქმის მოწყვეტილი იყო გარესამყაროს. სოფლის მეხეურები დროგამოშვებით ასე თუ ისე ზრუნავდნენ მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მაგრამ გზებზე აქა-იქ ზერელედ მოყრილი ქვა და ბრეში წვიმის დროს ირეცხებოდა, ხოლო ხახელდახელოდ გადებული საცალფეხო ხიდები მოვარდნილ ნიაღვარს მიჰქონდა.

საჭირო იყო დიდი და სერიოზული სამუშაოების ჩატარება, ხახრების გამონახვა.

ამ საკითხზე საქმიანად იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომში და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ სოფელს. საქმეს სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ახალაია. მას მხარში ამოუდგნენ გამგეობის წევრები, ბრიგადირები, მთელი მოსახლეობა დიდი და პატარა. მშრომელთა ენთუზიაზმი იმდენად დიდი იყო, რომ ლამითაც კი მუშაობდნენ ელნათურების შუქზე.

გზებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობაზე განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ამ ბრიგადებმა, რომლებსაც დავით სიგუა, რეზო ფალავა, ვიქტორ კიკალიშვილი, კლიმენტი ცანავა, შოთა კოტავა, გუია ცანავა, დავით ფარულავა და დოროთე ცანავა ხელმძღვანელობდნენ. კოლმეურნეებს მშენებლობაზე და ხიდ-ბოგირების ჯაკეთებაზე კარგად დეხმარა რაიონის საგზაო განყოფილება (უფროსი ნ. გაბისონია).

მონდომებულმა და თავდადებულმა შრომამ ნაყოფიც გამოიღო. ორ თვეში ააგეს რკინა-ბეტონის 10 ხიდი.

ამას გარდა მიმდინარე წელს სოფელ ნახუნავოში დელეებსა და მდინარეებზე გადებულ იქნა 16 რკინის ხიდი. გაფართოვდა და შეკეთდა სასოფლო გზა 10 კილომეტრის მანძილზე, ხოლო 7 კილომეტრზე ორმაგად მოხრეშეს.

მშენებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს სოფელ წინაკვერკვეს 8 წლიან სკოლასთან მისასვლელი გზის შესაკეთებლად. აქ ნახევარ კილომეტრზე აიგო რკინა-ბეტონის წყალგამცავი ჯებირი, რის შედეგადაც აღნიშნული გზა ორი მეტრით გაგანიერდა.

ორმოც ადგილას ჩადებულ იქნა ბეტონის წყალსაწრეტი მილები, რომელთა საერთო სიგრძე 240 მეტრს აღემატება. გაუვანილია სამანქანე გზები ჩაის პლანტაციებამდე, სადაც აქამდე მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით მიდიოდნენ.

სოფლის გზების კეთილმოწყობა კვლავ წარმატებით გრძელდება. შალე კარგი გზა ექნება სოფლის ყველა უბანს.

ნახუნავოელი მშრომელები ამ სამუშაოთა პარალელურად არ ივიწყებდნენ თავიანთ მთავარ საზრუნავს — უხვი მოსავლისათვის ბრძოლას.

ჯერ კიდევ მარტის დამდეგს კოლეურნეობაში დამთავრებული იყო სამარცვლე ფართობების ორკერადი გადახვნა. ხოლო საიუბილეო წლის პირველი მაისისათვის ნახუნავოელებმა რაიონში ყველაზე ადრე დაამთავრეს თესვა და ამით საიმედო გარანტია შექმნეს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის.

დროზე დაამთავრეს ჩაის გასხვლა, კულტივაცია, გადაბარვა, მინერალური სასუქების შეტანა.

გამგეობის ინიციატივით ეკალბარდებისაგან გაიწმინდა და სრულმოსავლიანი გახდა 8 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, რომელიც მანამდე მოუვალი და გამოუყენებელი იყო.

ნახუნავოს კოლმეურნეობის მეჩაიეების სახსენებლად უნდა თქვას, რომ მათ ერთ-ერთმა პირველებმა უპატაკეს დედასამშობლოს საიუბილეო წლის გალდებულების განაღდება და ამით თავიანთი წვლილი შეტანეს ჩაის უხვი მოსავლის მიღებაში.

ჭების ღირსი ნოვატორი მეჩაიეების ლეილა ჩხეტიას, მაყვალა ოდიშარიასა, მარგო კვესელავას, სონია ზარქუას, თამარ სიგუას, ხუტუ ჯახუას და სხვების თავდადებული მუშაობა, რომლებმაც ათეულ ტონობით ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ჩაბარეს სამშობლოს.

კოლმეურნეობამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ბამბეულის პარკის და სხვა პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

კოლმეურნეობის სახსრებით აშენდა სალელე სასადილო, მინერალური სასუქების საწყობი, საფუძველი ჩაეყარა ახალ კაპიტალურ კლუბ-კინტორას და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების და სხვა დავალებათა შესრულებაში თავიანთი წვლილი შეაქვს სოფლის ინტელიგენციას — მასწავლებლებს, ექიმებს, აგრონომ მოსწავლე ახალგაზრდობას.

წელს ზამთარი ადრე დადგა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ წვიმა და თოვლი ძველებურად როდი აშინებთ ნახუნავოელებს. ახლა მათ საუცხოო სასოფლო გზები აქვთ, რომლებზეც შეუფერხებლად დაჭრიან ავტომანქანები.

ა. ფეტელავა.

* * *

სურათზე: სოფელ ნახუნავოს მშრომელები შაბათობაზე.

ნაუხულა — ადგილი, სადაც წამოზრდილია ახალგაზრდა ხეები (ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ზემო სურები, რ. ახალაძე, ცხოვრობს თბილისში).

ნობეთობა — მწყემსების მორიგეობა (ამბროლაურის რაიონი, სოფელი ჩორჯო, ს. მახალდიანი).

ოგვადო — ბრეშუმის ამოსახვევი ხელსაწყო (ლანჩხუთის რაიონი, სოფელი ჭანჭათი, ი. წულაძე. ცხოვრობს თბილისში).

ორტოლა—ნაშვებული, სწორად შეკერილი უფორმო შარვალი, გადატანით იტყვიან კაცზე, რომელიც ღარიბულად არის ჩაცმული, შარვლის მეტი არაფერი აცვია (ახმეტის რაიონი, სოფელი ალვანი, კ. ქაიძე).

ორმე — ვიწრო ორღობე, საურმე ან საცალფეხო გზა (დაბა ამბროლაური, გ. კობახიძე).

ოჯარა — ზვინისკარტა თეთრი ჩიტი (ონის რაიონი, სოფელი ღები, ნ. ლობკანიძე, ცხოვრობს გაგრაში).

პირშესამყრელი — მომდურავთა შერიგების შემდეგ დამნაშავის მიერ გამართული სუფრა დაზარალებულისა და შუამავლის პატივსაცემად (თიანეთის რაიონი, სოფელი ლელოვანი, ვ. აბრამიშვილი).

პოზანი — საკლავი პიროტყვის მოცლის ქონი (ხარაგაულის რაიონი, სოფელი ღორეშა, ბ. შავლიძე).

პურხავი—ძუნწი, ხელმოჭერილი: „საშინელი პურხავი კაცია, ქინძის მარცვალს **არ** გაიმეტებს“ (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. აკეთი, დ. მგელაძე, ცხოვრობს თბილისში).

რაბო — წყლიანი ორმო, რომელიც წარმოშობილია ქვეშის ამოღების შემდეგ (ქალაქი წულუკიძე, გ. ფარცხალაძე).

რაზი — შესარაგავად ანუ შესაღობავად გამოყენებული სარი (მაიაკოვსკის რაიონი, სოფელი საკრეული, მ. კიკნაველიძე).

რუკა — ორომსებური, მაგრამ სწორკუთხა და ვიწროყელიანი ფიცარი, იყენებენ ახალი ყველის დასაწრეტად (ასპინძის რაიონის სოფლები: ტოლოშე, ო. ხმალაძე; ჭობარეთი, გ. ივანიძე).

საბრეხა — იგივეა, რაც ჩაჩანაკი — სალტეში თავისუფლად მბრუნავი რკინა. საგრეხა ტრიალებს და საბელი არ იხვევა (თიანეთის რაიონი, სოფელი ბალები, ვ. წიკლაური, ცხოვრობს რუსთავში).

სამაგიერო — ჯარიმა ტყიელზე დაფიცებისათვის (თიანეთის რაიონი, სოფელი იელიანგორი, ვ. აბრამიშვილი).

საპარავი — გრძელტარიანი ხელსაწყო, ძნელად მისაწვდომ მაღალ ტოტზე ხილის დაუზიანებლად მოსაწყვეტი (ასპინძის რაიონი, სოფელი ტოლოშე, ო. ხმალაძე).

საპირგამეხლო — ჯარიმა, დამნაშავე პირის მიერ დაზარალებულის ოჯახში შესარიგებლად მირთმეული ცხვარი ან სანოვაგე (თიანეთის რაიონი, სოფელი ჭიაურა, ვ. აბრამიშვილი).

სართიველი — გამოსაცხობ პურში ჩასატანებელი ხაჭო, ერბო, ყველი და მისთანანი (ონის რაიონი, სოფელი ბაჯიხევი, ა. დვალაძე).

სართვიანი — პურის ნამცხვარი, რომელიც ჩართულია რაიმე, მაგალითად, ლობიო, ხორცი (ამბროლაურის რაიონი, სოფელი ძირაგული, ვ. კვირიკაშვილი).

სატუკი, სატუკველა — ტუკი, — სუთისებრი ჯოხი ლობიოს მოსაზელად (ამბროლაურის რაიონის სოფლები: მეორე ტოლა, გ. გაბისიანი, ცხოვრობს ქუთაისში; წყალდისა, ფ. ეხუქიძე).

საფართი — ფიცრის კალაპოტია ახლადმოჭრილი წიწიდის წამოსაცმელად და ფორმის მისაცემად (თიანეთი, მ. ცალუღელაშვილი).

საფაფური — კედელსა და სახურავს შუა დარჩენილი ცარიელი ადგილი (მაიაკოვსკის რაიონი, სოფელი დიმი, ნ. შავგულიძე).

საქოლი — ულურსმნოდ დახურული ყავრის დასამაგრებელი ქვა ან სხვა რამ (ამბროლაური, ა. გოცირიძე).

საწარბე — ძველებური მიწური სახლის კედლის თავხე (ასპინძის რაიონი, სოფელი ჭობარეთი, გ. ივანიძე).

სისონი — სისო ხერხი — მშვილდით გაბმული პატარა ხერხი (ჩაიწერა ყრუაშვილმა ტ. ქურდაძისგან ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში).

სოდინი — ძნელად მისადგომი მაღალი კლდე (დუშეთის რაიონი, სოფელი მლეთი, მ. ზაქაიძე).

სუნდო, სუნდური — სათაბახო ფურნის კარს ზეგით დატოვებული სასუელ, სპეციერო ხვრელი (ადიგენის რაიონი, სოფელი უდე, ჩაიწერა ტ. ძამეკაშვილმა რ. მაისურაძისაგან; ასპინძის რაიონის სოფლები: ტოლოშე, ო. ხმალაძე; ჭობარეთი, გ. ივანიძე).

ტაბაკურო — დაჭაობებული ადგილი საერთოდ (ონის რაიონი, სოფელი ბეგანი, ი. ბერიძე).

ფანტელები — ნალეტი, ნალეტი — ფანტელებს ატრიალებს და მგზავრებს სახეში აყრის.

ქნელია ბიდზე გავლა.

ორღობეში თხმელის ნედლი ლეუღრით დატვირთული ურემი ტალახში ჩაფლულა. ამოგანგალული, ძარღვებდაბერილი ხარები ამაოდ ცდილობენ ადგილიდან დაძვრას. ამაოდ იქნევს შოლტს კოფოზე წამომჯდარი მეურმე...

ჭალაჭიდან მომავალი, ზურგზე ტვირთაკიდებული მგზავრები ხვნეშით მიმყუდნიან აღმართს.

— ჯოჯოხეთია პირდაპირ!.. ამახაც თუ გზა ჰქვია!

ასეთ სურათს, ასეთ საყვედურებს ხშირად ნახავდით და გაიგონებდით გეგმკორის რაიონის სოფელ ნახუნავოს გზაზე.

ამ დიდი და მდიდარი სოფლის მოსახლეობა დიდხანს იყო შეწუხებული უგზოობით. წყალდიდობისა, თუ დადთოვლობისას სოფელი თითქმის მოწყვეტილი იყო გარესამყაროს. სოფლის მეხეურები დროგამოშვებით ასე თუ ისე ზრუნავდნენ მდგომარეობის გამოსწორებისათვის, მაგრამ გზებზე აქა-იქ ზერელედ მოყრილი ქვა და ბრეში წვიმის დროს ირეცხებოდა, ხოლო ახალდახელოდ გადებული საცალფეხო ხიდები მოვარდნილ ნიაღვარს მიჰქონდა.

საჭირო იყო დიდი და სერიოზული სამუშაოების ჩატარება, ხახრების გამონახვა.

ამ საკითხზე საქმიანად იმსჯელეს საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომში და გადაწყვიტეს დახმარებოდნენ სოფელს. საქმეს სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი ახალაია. მას მხარში ამოუდგნენ გამგეობის წევრები, ბრიგადირები, მთელი მოსახლეობა დიდი და პატარა. მშრომელთა ენთუზიაზმი იმდენად დიდი იყო, რომ ლამითაც კი მუშაობდნენ ელნათურების შუქზე.

გზებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობაზე განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ამ ბრიგადებმა, რომლებსაც დავით სიგუა, რეზო ფალავა, ვიქტორ კიკალიშვილი, კლიმენტი ცანავა, შოთა კოტავა, გუია ცანავა, დავით ფარულავა და დოროთე ცანავა ხელმძღვანელობდნენ. კოლმეურნეებს მშენებლობაზე და ხიდ-ბოგირების ჯაკეთებაზე კარგად დეხმარა რაიონის საგზაო განყოფილება (უფროსი ნ. გაბისონია).

მონდომებულმა და თავდადებულმა შრომამ ნაყოფიც გამოიღო. ორ თვეში ააგეს რკინა-ბეტონის 10 ხიდი.

ამას გარდა მიმდინარე წელს სოფელ ნახუნავოში დელეებსა და მდინარეებზე გადებულ იქნა 16 რკინის ხიდი. გაფართოვდა და შეკეთდა სასოფლო გზა 10 კილომეტრის მანძილზე, ხოლო 7 კილომეტრზე ორმაგად მოხრეშეს.

მშენებლებმა დიდი მუშაობა გასწიეს სოფელ წინაკვერკვეს 8 წლიან სკოლასთან მისასვლელი გზის შესაკეთებლად. აქ ნახევარ კილომეტრზე აიგო რკინა-ბეტონის წყალგამცავი ჯებირი, რის შედეგადაც აღნიშნული გზა ორი მეტრით გაგანიერდა.

ორმოც ადგილას ჩადებულ იქნა ბეტონის წყალსაწრეტი მილები, რომელთა საერთო სიგრძე 240 მეტრს აღემატება. გაუვანილია სამანქანე გზები ჩაის პლანტაციებამდე, სადაც აქამდე მხოლოდ საცალფეხო ბილიკებით მიდიოდნენ.

სოფლის გზების კეთილმოწყობა კვლავ წარმატებით გრძელდება. შალე კარგი გზა ექნება სოფლის ყველა უბანს.

ნახუნავოელი მშრომელები ამ სამუშაოთა პარალელურად არ ივიწყებდნენ

ხალხური საუნჯის მარგალიტები

ტაბაკი, ტაბაკველა — ტუკი, — სუთისებრი ჯოხი ლობიოს მოსაზელად (ამბროლაურის რაიონის სოფლები: მეორე ტოლა, გ. გაბისიანი, ცხოვრობს ქუთაისში; წყალდისა, ფ. ეხუქიძე).

საფართი — ფიცრის კალაპოტია ახლადმოჭრილი წიწიდის წამოსაცმელად და ფორმის მისაცემად (თიანეთი, მ. ცალუღელაშვილი).

საფაფური — კედელსა და სახურავს შუა დარჩენილი ცარიელი ადგილი (მაიაკოვსკის რაიონი, სოფელი დიმი, ნ. შავგულიძე).

საქოლი — ულურსმნოდ დახურული ყავრის დასამაგრებელი ქვა ან სხვა რამ (ამბროლაური, ა. გოცირიძე).

საწარბე — ძველებური მიწური სახლის კედლის თავხე (ასპინძის რაიონი, სოფელი ჭობარეთი, გ. ივანიძე).

სისონი — სისო ხერხი — მშვილდით გაბმული პატარა ხერხი (ჩაიწერა ყრუაშვილმა ტ. ქურდაძისგან ახალციხის რაიონის სოფელ მუსხში).

სოდინი — ძნელად მისადგომი მაღალი კლდე (დუშეთის რაიონი, სოფელი მლეთი, მ. ზაქაიძე).

სუნდო, სუნდური — სათაბახო ფურნის კარს ზეგით დატოვებული სასუელ, სპეციერო ხვრელი (ადიგენის რაიონი, სოფელი უდე, ჩაიწერა ტ. ძამეკაშვილმა რ. მაისურაძისაგან; ასპინძის რაიონის სოფლები: ტოლოშე, ო. ხმალაძე; ჭობარეთი, გ. ივანიძე).

ტაბაკურო — დაჭაობებული ადგილი საერთოდ (წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი, ა. სანებიძე).

ტურა ლობიო — სოია ანუ ძაძა (წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი, ე. გაბუნია).

ტუშაალა — ჭანჭური ანუ კორკიმელი (მაიაკოვსკის რაიონი სოფელი წითელხევი, რ. ფიქიძე).

უგაბაბი — ხილზე იტყვიან — უმწიფარი, მკვახე (ამბროლაურის რაიონი, სოფელი ბოსტანი, მ. ჯანგიძე, ცხოვრობს თბილისში).

უკოპიკეზს — იგივეა რაც უჭოპიტებს, აუსტატინებს, უბიჯგებს (მახარაძის რაიონი, სოფელი მაკვანათი, ე. ცეცხლაძე).

ფათინი — ნაკეთში დატოვებული გამოუყენებელი ადგილი (ტყიბულის რაიონი, სოფელი სოჩხეთი, შ. ბეშკენაძე).

ფალასტა — ბლის კანისაგან მოწნული ბადურა სანოვაგისათვის (ხარაგაულის რაიონი, სოფელი ღარისხევი, უ. კიკვამიძე, ცხოვრობს თბილისში).

ფიბარა — სატეხსნაირი იარაღი, იხმარება ჩარჩოს ამოსაღარავად და კარის გულის ჩასადგმელად (ჩაიწერა ქალაქ ონის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნ. კერესელიძემ ხელოსან ს. გლოველისაგან).

ფილანგოზა — კურკოვან მცენარეთა ნაყოფის შედეგებული წვენი (ამბროლაური, სოფელი ახალსოფელი, შ. ქვეანაშვილი).

ფიშორი — კანფეტის თოკი (ამბროლაური, სოფელი სხვავა, თ. მკერვალიშვილი).

ფოტა — ქსოვილისაგან შეკერილი ჭურჭელია ჩაის საკრეფად (წულუკიძის რაიონი, სოფელი მთიხოჯი, ც. კორკოტაძე).

ფუროშუნა — ფქვილეულისა და კვერცხის ნამცხვარი (ბოლნისის რაიონი, სოფელი რატევანი, კ. გოგებაშვილი).

ფშიკორია — ძალზე ხმელი, სუსტი აგებულობის ადამიანი ან პირუტყვი (ლანჩხუთის რაიონი, სოფელი აცანა, ი. ჩხაიძე).

ქამაძინი — გამკრავი ქარი (ქალაქი ონი. ექიმი დ. ლობჟანიძე; ონის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებლები).

ქაკასუა — მოუთმენელი ადამიანი (ონის რაიონი. სოფელი ღები, ნ. გავაშელი).

ქაჯი ლობიო — სოია ანუ ძაძა (წყალტუბოს რაიონი, სოფელი ოფშკვითი, ა. სანებიძე).

ყარა — ბალახიანი ადგილი, სადაც წამოზრდილია ახალგაზრდა ხეები (ჩოხატაურის რაიონი, სოფელი ზემო სურები, რ. ახალაძე, ცხოვრობს თბილისში).

ნობეთობა — მწყემსების მორიგეობა (ამბროლაურის რაიონი, სოფელი ჩორჯო, ს. მახალდიანი).

ოგვადო — ბრეშუმის ამოსახვევი ხელსაწყო (ლანჩხუთის რაიონი, სოფელი ჭანჭათი, ი. წულაძე. ცხოვრობს თბილისში).

ორტოლა—ნაშვებული, სწორად შეკერილი უფორმო შარვალი, გადატანით იტყვიან კაცზე, რომელიც ღარიბულად არის ჩაცმული, შარვლის მეტი არაფერი აცვია (ახმეტის რაიონი, სოფელი ალვანი, კ. ქაიძე).

ორმე — ვიწრო ორღობე, საურმე ან საცალფეხო გზა (დაბა ამბროლაური, გ. კობახიძე).

ოჯარა — ზვინისკარტა თეთრი ჩიტი (ონის რაიონი, სოფელი ღები, ნ. ლობკანიძე, ცხოვრობს გაგრაში).

პირშესამყრელი — მომდურავთა შერიგების შემდეგ დამნაშავის მიერ გამართული სუფრა დაზარალებულისა და შუამავლის პატივსაცემად (თიანეთის რაიონი, სოფელი ლელოვანი, ვ. აბრამიშვილი).

პოზანი — საკლავი პიროტყვის მოცლის ქონი (ხარაგაულის რაიონი, სოფელი ღორეშა, ბ. შავლიძე).

პურხავი—ძუნწი, ხელმოჭერილი: „საშინელი პურხავი კაცია, ქინძის მარცვალს **არ** გაიმეტებს“ (ლანჩხუთის რაიონი, სოფ. აკეთი, დ. მგელაძე, ცხოვრობს თბილისში).

რაბო — წყლიანი ორმო, რომელიც წარმოშობილია ქვეშის ამოღების შემდეგ (ქალაქი წულუკიძე, გ. ფარცხალაძე).

რაზი — შესარაგავად ანუ შესაღობავად გამოყენებული სარი (მაიაკოვსკის რაიონი, სოფელი საკრეული, მ. კიკნაველიძე).

რუკა — ორომსებური, მაგრამ სწორკუთხა და ვიწროყელიანი ფიცარი, იყენებენ ახ

რა ხელმა მოქარგა!

ჩვენ მივეჩვიეთ, რომ სიტყვა შრომამ ხშირად ხაზგასმით იწერება. ამ აზრით სიტყვა „ასმენლიბა“ თავის სახელოვან ანტიპოდთან შედარებით უბადრუკ გერად გვეჩვენება. ამ სიტყვას კი სრული უფლება აქვს ასევე ხაზგასმით იწერებოდეს. მართლაც, ყველა საბჭოთა ადამიანს შრომისა და დასვენების სავსებით ერთნაირი უფლებები აქვს, ვფიქრობთ, ბიჭვინთა სწორედ ისეთი კურორტია, სადაც დასვენებას შეუძლია სულ ერთი თვის განმავლობაში მთლიანად გააქარწყლოს დაქანცულობა, დაღლილობა, რაც ადამიანს თერმეტი თვის მანძილზე „შეუძენია“...

ალბათ სადავოდ არავინ გახდის იმ სრულ ჭეშმარიტებას, რომ ქვეყნად აუროცხელია სხვადასხვანაირი და ლამაზი ადგილი. ზოგჯერ ისე „შეერწყმი“ რომელიმე ქალაქის, ლანდშაფტის, არქიტექტურული ანსამბლის სახეს, რომ შემდეგში თითქოს ძნელი იქნება გაგაკვირვოს, მოგიბილოს, განგაცვიფროს რამემ.

და მაინც მეტად საშიშია „შექმნა თავისთვის კერპი“, ვინაიდან ჭეშმარიტად დაუმრეტელი და უსაზღვრო ადამიანის მისწრაფება გარდაქმნას ბუნება, კაშხალების ფოლადის მკერდით შეაჩეროს გიგანტური მდინარეები, სარეკორდოდ მოკლე ვადაში ააგოს ქარხნების კორპუსები და დიდი ქალაქები.

„ბიჭვინთა“. ამ საკურორტო კომპლექსს ჯერ ისე ფართოდ არ მოუხვეჭია სახელი, როგორც მის შავიზღვისპირეთ მოძმეებს — ოქროს ქვიშას ან მამაიას. მაგრამ უკვე დღეს, როცა კურორტი ეს-ეს არის გადაეცა სანქციონირებულ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ: ყოველივე იმას, რაც ბიჭვინთის კონცხზე ადამიანის ჭეშმარიტად ოქროს ხელს შეუქმნია, რეკლამა არ ესაჭიროება.

ვინც რამდენიმე თვის ან თუნდაც ერთი თვის წინათ ყოფილა ამ მშენებლობაზე, რომელსაც ახორციელებენ ტრესტ „ბიჭვინთამშენში“ შემავალი მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები, მას შეიძლება საკმაოდ არასრული წარმოდგენა ჰქონდეს ამ უზარმაზარ კურორტზე, რომლის ბადალი ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ მოიძებნება.

აქ არ არის არც ხმაურიანი დანსინგები, არც ღამის ბარები, არც კაზინო, რომლებითაც თავი მოაქვთ მონტე-კარლოსა თუ ნიცას. დასვენება... დასვენება... დასვენება... ჩურჩულებენ დიდებული ფიჭვები, თავიანთ ხმირ მწვანე წიწვებში რომ წურავენ ზღვიდან მონაბერ გრილ ნიავს. დასვენება... და ხეებში მოჩანს მუშბუქი აკუერული შენობა. გვონია, ცოტა უფრო ძლიერ რომ დაპბეროს ქარმა ფანჯრების ფართო მინების იალქნებს, ულტრათანამედროვე არქიტექტურის მრავალსართულიანი კეკლუცი ნაგებობა ლურჯ მზიან სივრცეში შეცურდებაო. დასვენება... გლისერით თუ დაშორდები ნაპირს, დაინახავ კურორტის ყველა შენობას, ძვირფასი ქვებივით რომ სხედან ფიჭვის ტყის მალაქიტისებრ ბუდეში და ენით აუწერელ ჰარმონიულ ანსამბლს ქმნიან.

ზღვა ორ ნაბიჯზეა. აქ, ბიჭვინთაში, მას რაღაც განსაკუთრებული იერი აქვს. როცა იგი მშვიდია, მის ფერს სიტყვებით ვერ აღწერ. აი, ვთქვათ, გაგრაში ან სოხუმში მისი ელფერების გამა სულ სხვაა. ბიჭვინთის ტალღის მომაჯადოებელ ფერს ზოგი იმით ხსნის, რომ აქ შავი ზღვის მთელი სანაპიროსათვის უნიკალური ფიჭვის ტყეა.

ზღვა, პლაჟის ფართო ზოლი, ტყე — ასეთია ბუნებრივი ანტურაჟი, რომელშიც ადმოჩნდა პირველი სამასი დამსვენებელი. მათ შორის ბევრია მშენებელი, რომლებიც იმიიან თავიანთი შრომის ნაყოფს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ამ ბოლო ხანებში ძალიან ბევრი დაიწერა სიხარულის კონცხის შესახებ. მკითხველს, თითქოს თავისი თვალით უნახავსო, შეუძლია თითქმის მაქსიმალური სიზუსტით დასახელოს დასასვენებელი კორპუსების რიცხვი, აღწეროს რესტორანისა და კურზალის სილამაზე. ოთახების მოწყობილობა და კომფორტი, რომლითაც გარემოცული არიან დამსვენებლები.

მაგრამ „თემის“ თითქოსდა ამომწურავი ცნობების მთელი სიუხვის მიუხედავად, სპეციკორთა ბლოკნოტების „ჰორიზონტს“ მიღმა დარჩა მეტად არსებითი თემა, რომელიც ბიჭვინთის მიმზიდველობას შეადგენს. ლაპარაკია იმ ნიგიერი მხატვრების, მოქანდაკეების. დეკორატორ-გამფორმებლების ჯგუფზე. რომლებმაც ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ზურაბ წერეთლის ხელმძღვანელობით კურორტის მთელ ტერიტორიას, შენობების გარეგან სახეს და მათს ინტერიერებს სრულიად უნიკალური, უწყვეტელ ორიგინალობა მიანიჭეს. მათ თავიანთი მუშაობა დაუქვემდებარეს ერთიან ესთეტიკურ, ემოციურ, ექსპრესიულ ჩანაფიქრს, რაც მთავარი მომენტია ზღვის, ფიჭვების მძლავრი ტყის და მთელი ამ „მიწიერი სამოთხის“ თავზე გადმობრუნებული ფირუზისფერი ცის თასის სამყაროსთან კურორტის ყველა ნაგებობის, დეკორის მრავალფეროვანი კომპონენტების ჰარმონიის კრიტერიუმი.

1.300. ასეთია ადგილების რიცხვი რესტორან „ბიჭვინთაში“. მინა, ალუმინი, პლასტიკი. თანამედროვე, არქიტექტურული ფორმები. უზარმაზარი ვიტრაჟები. რესტორანის შენობა წინ წამოწეულა. იგი შვიდი კორპუსის მთელი „ფლოტილიის“ თითქოს წინმიზირალია. მიუჯდები მაგიდას, და მხოლოდ ზღვას ხედავ. ზღვა. უსასრულოდ წარმტაცი, ზურმუხტოვანი სივრცე თვით ჰორიზონტამდე.

აქ გავიცანით საქართველოს დამსახურებული მხატვარი ზურაბ წერეთელი, „ბიჭვინთის“ მთავარი მხატვარი, რომელიც მუშაობდა კურორტის ტერიტორიის გაფორმებაზე, ბევრს ფიქრობდა თვითეული შენობის ჰოლების, ვესტიბიულებისა და თვით ოთახების ინტერიერის ყოველ წვრილმანზე.

„ბიჭვინთა“, „ბზიფი“, „ოქროს საწმისი“, „კოლხეთი“, „ივერია“ „ამრა“, „შუქურა“. ასეთი სახელწოდებები მიეკუთვნა 15-სართულიან გოლიათებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა შენობა აგებულია ერთიანი ტიპური პროექტის მიხედვით, გასაგები და ლოგიკური გახდება იმის აუცილებლობა, რომ გაფორმების საშუალებით თვითეულ შენობას გარკვეული ინდივიდუალობა მისცემოდა. და აი ზურაბმა ხელი მოჰკიდა „ბიჭვინთის“ შენობათა მთელი კომპლექსის და ტერიტორიის გაფორმების ძნელ და მეტად პასუხსაგებ საქმეს. უფრო. ზუსტად, ხელი მოჰკიდა და ბრწყინვალედ შეასრულა.

უკვე კურორტის „მისადგომებზე“ დამსვენებლებს ხვდება „ბიჭვინთის“ ხუთმეტრიანი ემბლემა, რომლის თემა მოკლედ ასეთია: ზღვა, დასვენება, ჯანმრთელობა.

ზურაბის ახალგაზრდა კოლეგამ ა. რატანიმა წარმატებით დაამთავრა მუშაობა დიდ ბარელიეფ „ბერიკაობაზე“, რომელიც ეკალარის ქვით შეასრულა.

შესანიშნავი სიურპრიზები ელის დამსვენებელს უკლებლივ ყოველ ნაბიჯზე. ყველა დეკორატიული სამკაული, ქანდაკებები, პანოები, ბარელიეფები ქართული ეროვნული კულტურის მკაფიოდ გამოსახულ ხასიათს ატარებს.

ჩვენს წინაშეა „ბიჭვინთის რუკა“. ბრინჯაოს მეტად რთული და ოსტატურად შესრულებული სმული.

ამას წინათ მოსკოვიდან ჩამოვიდა დედაქალაქის მთავარი არქიტექტორი მ. პოსოხინი. იგი აღტაცებით მიესალმა ზ. წერეთლის მთაურობით მომუშავე ნიჭიერი კოლექტივის შესანიშნავ ნამუშევრებს. ის გარეშოება, რომ მ. პოსოხინმა ზურაბი მოსკოვში მიიწვია, სადაც იგი ოსტანკინის ტელეცენტრისა და კინომუშაკთა სახლის გაფორმებაზე იმუშავებს, თავისთავად მეტყველებს.

რვაწლეულის დარბაზში ზურაბმა „წარმოგვიდგინა“ თავისი პირმშოები — ნაირფერი მოჭიქული კერამიკისგან შესრულებული უზარმაზარი მოზაიკური პანოები.

შემდეგ გვიჩვენა შავი ზღვის სანაპიროს დიდი და ოსტატურად გაკეთებული რუკა-ნავსადგურებითა და კურორტებით. აქ გამოყენებულია ბევრი ძვირფასი ჯიშის ხის მასალა.

ზურაბი კარგი გიდი აღმოჩნდა. თავისუფლად და გატაცებით გვიჩვენებდა სულ ახალ-ახალ დეკორატიულ ნაწარმოებებს. და უცნაური იყო, რომ ყველა ეს ნაწარმოები თავის ადგილსაჯეთ, საქართველოდან აქ მარმარილოს აწვდიდნენ ლოპოტის, შროშის, მოლითის, სალეთის კარიერები; იგი მოდიოდა ურალიდან და სომხეთიდან...

მხატვართა, დეკორატორთა, გამფორმებელთა კოლექტივების ქმნილებანი მეზობლობენ „მარმარილოს დუჰილის“ გაკრავილებულ ზედაპირთა ლაპლაპთან, სითბოთი, მოხდენილობით ავსებენ ვესტიბიულებს, თითქოს სულს უდგამენ სათავსებს, და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სულ სხვადასხვა სახით წარმოგვიდგებიან.

აი, მაგალითად, ღამის ბარი, რომელიც ზურაბ წერეთელს გაუფორმებია, ძალიან განსხვავდება რესტორნის სათავსისაგან. სანლელები, აქ რომ აინთება, მოზაიკის ხალიჩით მოირთულ მთელ დარბაზს მთლად ფეერიულ სახეს მისცემენ, დაამთავრებენ ეფექტს, რომელსაც მხატვარი ესწრაფვოდა.

თბილისის მცხოვრებნი და ჩამოსულნი რუსთაველის პროსპექტზე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გვერდით სკვერში ხედავენ ჯიხვების ძველ სასაბტურულ გამოსახულებებს, უზარმაზარ ლოდებს ძველი წარწერებითა და ამოკვეთილი ნახატებით, რომლებიც აღნიშნავენ სხვადასხვა რიტუალებსა და ემბლემებს.

კურორტის ტერიტორიაზე შექმნილია დასათვალიერებელი მოედანი. დამსვენებლები აქ ნახავენ ზემოთ აღწერილ გამოხატულებათა ანალოგიურ ასლებს. ისინი ნახავენ IV-XII საუკუნეთა უძველესი ქართული ძეგლების პირველად შესრულებულ ასლებს.

ბლოკნოტის „მარი ფართობი“ ივსება. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების „ბანაკში“ მოგზაურობას კი ბოლო არ უჩანს.

ზურაბ წერეთელი ამიწერს მ. ბერძენიშვილის უზარმაზარ, 8-მეტრიან ქანდაკებას „მედეას“ თუმაზე, შემდეგ მაცნობს კომპოზიციას „ზღვა“, რომლის ავტორი გ. ოჩიაური დიდ ნიჭს ამჟღავნებს.

ჩვენ წინაშეა გ. კალაძის, კ. გრიგოლიას და ა. მჭედლიშვილის გამომეტყველ სკულპტურულ ნამუშევართა გალერეა.

გამფორმებლები შეედილან გაეთვალისწინებინათ ყველაფერი, ყოველი წვრილმანი. კარის გასაღებიც ფირფიტაც კი თვითეული კორპუსისათვის თავისებური იქნება. ასეთი ფირფიტის პატრონი მას თავისი კორპუსის ემბლემას შეადარებს (თვითეულ კორპუსს თავისი ემბლემა აქვს) და... ყველაფერი რიგზე იქნება...

თვითეულ ნაწარმოებს ნიჭის, სიზრიანობის, საბოლოო ანგარიშით ადამიანისადმი სიყვარულის ბეჭედი ასხია. ადამიანისათვის არის შექმნილი ყველა ეს უნიკალური ნაწარმოები.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს თვალმარგალიტზე თხრობა დაუსრულებლივ შეიძლება, იმდენად ვხიბლავს აქ ყველაფერი.

შესანიშნავი სანახობა „გადაიშლება“ ღამღამობით ზღვიდან. კორპუსების თავზე აენთება გაზის შუქის ნაირფერადი ორნამენტარებული სარტყელი.

ფერად-ფერადი ჩირაღდნებით დაგვირგვინებული, თვალსმომჭრელ მძიგად ასხმული ფანჯრებით თუთუმტბანიანი საოჯახო ლაინერებივით გაემართებიან ბიჭვინათის ბუმბერაზი სახლები. გაემართებიან ადამიანის იმ სურვილის დასაკმაყოფილებლად, რომ კარგად დაისვენოს, რათა ახალი ძალებით აშენოს ჩვენი ნათელი მომავალი.

გ. კუბაჩოვი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — „მედეა“ — ქანდაკება მ. ბერძენიშვილისა; მარჯვნივ — კურორტ ბიჭვინთის კორპუსების ხედი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქიდისის ფოტოქრონიკა).



ჩვენი მფლობელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგილისელებს ძალზე აწუხებდა, რომ ქალაქის გარშემო შაშვეული მთები და ჩამორეცხილი ფერდობები იყო. მშრომელმა ადამიანებმა ითავეს მათი გამწვანება. ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო მახობრივი შაბათობები. დიდი და პატარა, ქალი და კაცი, მოსწავლე და სტუდენტი ყველა ერთსულოვნად გამოდიოდა სამუშაოდ. ამოიღეს მილიონობით ორმო, დაირგო წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშის ხეები. მადლიერმა ხალხმა არც მათს გახარებას დაეკლო მზრუნველობა. ახლა დედაქალაქის გარშემო შვიდი ათას ჰექტარ ყოფილ შიშველ ფერდობებზე საამოდ შრიალებს ტყე, ხოლო თბილისის ზღვის ნაპირზე 250 ჰექტარზე გაშენდა დენდროლოგიური პარკი, რომელიც მშრომელთა დასვენების შესანიშნავი ადგილია.

ამ სურათზე, რომელიც გუშინ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვლ. **გინზბურგმა** გადაიღო, მოჩანს ლენინის რაიონიდან თბილისის ზღვისაკენ მიმავალი გზა და მარად მწვანე ნარგავებით დამშვენებული მდამოები. როგორ შეიძლება შეხედო ამას, და მარჯვენა არ დაულოცო იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს ხეები დარგეს და გაახარეს. ან როგორ შეიძლება ადამიანი უწოდო იმას, ვინც ნაჯახს აღმართავს ამ შვილებივით ნაზარი წიწვოვანი ხეების მოსაჭრელად?

ასეთმა ბოროტმოქმედმა სასტიკი პასუხი უნდა აგოს... კანონის წინაშე.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივმა (დირექტორი ა. ეგორა) 1967-68 წლის სეზონის პირველ პრემიერად მაყურებლებს უჩვენა აკაკი გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“. პიესა დადგა რეჟისორმა დ. კობახიძემ, მხატვრულად გაფორმა ი. პეტრიაკისმა, ცეკვების დამდგმელი რ. ბოლია.

ბ. ალშიბაია.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ კონკურსი მოაწყეს ახმეტის საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. კონკურსის პირობების თანახმად ნორჩი მკითხველები, რომლებიც ყველაზე მეტ წიგნებს წაიკითხავდნენ ვ. ი. ლენინზე, სამოქალაქო და სამამულო ომების მგირებზე, ბიბლიოთეკას შემატებდნენ ახალ მკითხველებს, გადაეცემოდათ სამახსოვრო სანუქრები. კონკურსი 6 თვეს გრძელდებოდა.

გამოვლინდა, რომ ამ ღონისძიებაში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ ახმეტის პირველი და მეორე საშუალო სკოლების მოსწავლეები.

გ. ტერტერაშვილი.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 24

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, ოცდამეოთხე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — შეჯიბრება დევიზით — ხუთწლედი ვადამდე!; 1967 წელი — კიდევ ერთი მტკიცე ნაბიჯი კომუნიზმისაკენ; 1967 წელი — კაპიტალიზმის დაქვეითების, მასობრივი უმუშევრობის წელი; **ე. სტრუკოვი** — იდეური რწმენა, კომუნისტური იდეალებისადმი ერთგულება; **კ. მახარაძე** — საგიტაციო მუშაობას მეტი ყურადღება; **ე. კომლაძე** — პოლიტინფორმაციი ფართო ფრონტით; **გ. შადური** — მოწინავეთა რიგები რომ მრავლდებოდეს; **ი. ტაბიძე** — საამქროს ყვავილები; **კარიბის** ზღვის მარგალიტები; თავისუფლების გზით.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲝᲥᲔ — „ᲙᲐᲠᲓᲘᲤ-ᲡᲘᲢᲘ“

ᲪᲘᲣᲠᲘᲮᲘ, 18 დეკემბერი. (საკდესი). თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხეფინალში მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელები ორჯერ შეხვედებიან უელსის „კარდიფ-სიტის“ კლუბის ფეხბურთელებს.

აი მეოთხეფინალის დანარჩენი წყვილები: ბელგიის „სტანდარდი“ — იტალიის „მილანო“, ესპანეთის „ვალენსია“ — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბავარია“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგი“ — საფრანგეთის „ოლიმპიკი“.

ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვედებიან: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „აინტრაჰტი“ და იტალიის „იუვენტუსი“, უნგრეთის „ვამშაი“ და პორტუგალიის „ბენფიკა“, ესპანეთის „რეალი“ და ჩეხოსლოვაკიის „სპარტა“, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ და პოლონეთის „გურნიკი“.

Ა. ᲩᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ ᲓᲐ Ს. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲐ — ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ

ᲡᲝᲩᲨᲘ მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატი.

ტალინელმა საერთაშორისო ოსტატმა **მ. რანიკუმ** მერვე ტურში დაამარცხა მოსკოველი **ნ. ვოიცეკი. მ. რანიკუს** უახლოესმა მეტოქეებმა **კ. სკეგინამ, რ. ბილუნოვამ** (მოსკოვის ოლქი) და მოსკოველმა **ნ. კონოპლიოვამ** კი შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. წარმატებით იბრძოდა თბილისელი **ა. ივანოვა.** მან მოიგო ტაშკენტელ **ვ. ბორისენკოს.**

8 ტურის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერს **მ. რანიკუს** 7 ქულა აქვს. **კ. სკეგინას, რ. ბილუნოვასა** და **ნ. კონოპლიოვას** ექვს-ექვსი ქულა აქვთ. ამ ჯგუფს შეუერთდნენ აგრეთვე **ა. ჩაიკოვსკაია, ა. ივანოვა** და **ა. შადური.**

ᲙᲐᲚᲐᲗᲒᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში იმართება სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მატჩები ქალთაბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შეიდა კიევის „სტრო